# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 26 თებერვალი 2003 №32 (1803) | ფასი 50 თეთრი




REUTERS დორტმუნდიდან

დორტმუნდი — რეალი 1:1. ორიოდ წუთის შესულმა ხავიერ პორტილიომ (№18) დორტმუნდელებს ჯაფა წყალში ჩაუყარა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

# დორტმუნდი!

## ბორუსიამ იმიტომ გაუშვა, რომ სჯეროდა: რეალი გაუტანდა



REUTERS მოსკოვიდან

# რივალდომ რუსებს თვალები დაუხუჭა

## ინგლისელებმა ბებერი ქალბატონი საკუთარ ლოგინში გააუპატიურეს

ჩემპიონთა ლიგის გუშინდელი მატჩების ანგარიშები და ტურის მცირედი მიმოხილვა

იხილეთ მეორე გვერდზე



REUTERS ტურინიდან

ინგლისელებმა მარჩელო ლიპის გრიპზე უარესი დამართეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003
## II ჯგუფური ეტაპი. IV ტური

### C ჯგუფი

**ლოკომოტივი 0:1 მილანი**

0:1 რივალდო (34)
ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, ნიჟეგოროდოვი, იგნაშევიჩი, ევსეევი, სენიკოვი, სირხაევი (პიმენოვი 58), იზმაილოვი, მამინოვი, ლოსკოვი, მნგუნი, ჟულიო სეზარი (პარკსი 82)
მწვრთნელი: იური სიომინი
მილანი: დიდა, კოსტაკურტა, ნესტა, მალდინი, კალაძე, გატუზო, რედონდო (ბროკი 76), ზეედორფი, სერჟინიო (რუი კოშტა 86), რივალდო, ინძაგი (ტომასონი 84)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: გატუზო, ევსეევი, ლოსკოვი, სერჟინიო, ნიჟეგოროდოვი
მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)
30 000 მაყურებელი

**დორტმუნდი 1:1 რეალი**

1:0 კოლერი (22), 1:1 პორტილიო (90)
დორტმუნდი: ლემანი, ევანილსონი (რიკენი 80), ვოორნსი, მეცელდერი, მადუნი, დედე (ამოროზო 90), ფრინგსი, როიტერი, კელი, კოლერი, ევერტონი (რეინა 88)
მწვრთნელი: მათიას ზამერი
რეალი: კასილიასი, სალგადო, პავონი (პორტილიო 90), ელგერა, რობერტო კარლოსი, ფიგუ (მინიამბრესი 71), კონსეისაო (გუტი 67), მაკელელე, ზიდანი, რაული, რონალდო
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: როიტერი, ევანილსონი, ვიორნსი
მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)
68 600 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 4 | 4 | 0 | 0 | 4:0 | 12 |
| რეალი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| დორტმუნდი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| ლოკომოტივი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:6 | 1 |

*„მილანი" გავიდა მეოთხედფინალში*

### D ჯგუფი

**იუვენტუსი 0:3 მანჩესტერი**

0:1, 0:2 გიგზი (15, 41), 0:3 ვან ნისტელროი (63)
იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, ფერარა, მონტერო, ძამბროტა (პესოტო 67), დავიდსი, კონტე (ტუდორი 46), კამორანეზი, ნედვედი, ტრეზეგე, დი ვაიო (სალასი 46)
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
მანჩესტერი: ბარტეზი, გ. ნევილი, ფერდინანდი, ფ. ნევილი, ოში (პაფი 60), ბექემი, კინი, ვერონი, ბატი, სოლსკიაერი, ფორლანი (გიგზი ჩ ვან ნისტელროი 49)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ფ. ნევილი, ნედვედი
მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)
59 111 მაყურებელი

**დეპორტივო 1:0 ბაზელი**

1:0 ტრისტანი (4)
დეპორტივო: ხუანმი, ექტორი, ნაიბეტი, ჟორჟე ანდრადე, რომერო, სკალონი, დუშერი, სერხიო, ფრანი (ამავისკა 60), ტრისტანი (ვალერონი 70), მაკაი (ლუკე 79)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
ბაზელი: ცუბერბიულერი, შაასი, კუენოსი, ცვისიგი, ატუბა, შუგელი, ბარბერისი (ტუმი 74), ვარელა (როსი 58), ჩიპერფილდი, მ. იაკინი, ხიმენესი
მწვრთნელი: კრისტიან გროსი
გაფრთხილება: ვარელა
მსაჯი: სტეფან ბრე (საფრანგეთი)
21 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 4 | 4 | 0 | 0 | 10:2 | 12 |
| იუვენტუსი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:7 | 4 |
| დეპორტივო | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| ბაზელი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:8 | 3 |

*„მანჩესტერი" გავიდა მეოთხედფინალში*



იუვენტუსი — მანჩესტერი 0:3. რუუდ ვან ნისტელროის ბურთის ბუფონის კარში გატანა არ გასჭირვებია

REUTERS ტურინიდან

# 1000! ლიგა დამრგვალდა

საცოდაობა იყო „ვესტფალენშტადიონისთვის" იმ სიხარულის ჩამწარება, რომლის მსგავსიც ქართველ ქომაგს რა ხანია, აღარ განუცდია. ეს სიხარული იან კოლერის გოლს მოჰყვა და ყმაწვილი მადრიდელი ხავიერ პორტილიოს გვიან მოქნეულით დასრულდა. ფეხბურთი აღარ არის ის თამაში, რომელიც 90 წუთი გრძელდება და ბოლოს გერმანელები იგებენ. „კამპ ნოუზე" ლიგის ოთხი წლის წინანდელი ფინალის მერე სწორედ რომ პირიქით ხდება. არადა, „დორტმუნდი" თითქმის მეოთხედფინალში იყო. ახლა კი სათუო „რეალის" ჯგუფში ჩარჩენა იქნება.

საცოდაობა იყო დორტმუნდელთა მეკარე იენს ლემანის წყალში ჩაყრილი გარჯაც და მათი მწვრთნელის მათიას ზამერის სასოწარკვეთილი სახის დანახვაც.

გუშინ ბევრი სხვა რამეც იყო საცოდაობა, თუნდაც „ბაზელის" ლა კორუნიაში დამარცხება აურაცხელი საგოლე მომენტის შექმნის მერე. ან რა განიცადა ტურინელმა იგორ ტუდორმა, როცა ხონჩით მიართვა საგოლე პასი მანჩესტერელ რუუდ ვან ნისტელროის.

ისე კი, ფეხბურთი დიდი უცნაური თამაშიცაა. რა მოხდებოდა, „დელე ალპიზე" მერვე წუთზევე რომ არ დაშავებულიყო დიეგო ფორლანი: რაიან გიგზი უკეთეს შემთხვევაში მეორე ტაიმში შევიდოდა მოედანზე და იმ ორ გოლსაც ვერ გაიტანდა. ეგებ, „მანჩესტერსაც" ასე მალე ვერ გაენაღდებინა მომდევნო ეტაპზე გასვლა. რა მოხდებოდა, ვისენტე დელ ბოსკეს ბოლო წუთებზე რომ არ მოსურვებოდა მაინცდამაინც პორტილიოს შეშვება.

გუშინ მხოლოდ მოსკოვში არ მომხდარა არაფერი განსაკუთრებული, ანუ ჩვეულებრივი თამაში იყო და „მილანი" იოლად გავიდა ჯგუფიდან. ახლა კახა კალაძეს ერთი ნაბიჯიღა აშორებს თავისივე ზოგადქართული რეკორდის გამეორებამდე — ის ერთადერთი ქართველია, ვისაც ჩემპიონთა თასის თუ ლიგის ნახევარფინალში უთამაშია. ამავე შეხვედრაში პაოლო მალდინიმ იტალიური რეკორდი დაამყარა — ევროთასებზე მასზე მეტი თამაში თანამემამულეთაგან არავის უთამაშია.

გუშინვე ლიგა დამრგვალდა: ამ ოთხი თამაშით ლიგის მატჩების ოდენობამ ათასს უწია.



პაოლო მალდინი ყველაზე გამოცდილი ევროიტალიელია

REUTERS მოსკოვიდან



ლოკომოტივი — მილანი 0:1. კახა კალაძე და „მილანი" მეოთხედფინალში გავიდნენ

REUTERS მოსკოვიდან



დორტმუნდი — რეალი 1:1. იან კოლერის ამ დარტყმას გოლი მოჰყვა

REUTERS დორტმუნდიდან

### ინგლისი

**პირველი დივიზიონი**
**გადადებული მატჩები**

ჯილინგემი 1:0 ნორვიჩი
ვულვერჰემპტონი 0:0 უოტფორდი

**მეორე დივიზიონი**
**გადადებული მატჩები**

ბრენტფორდი 1:0 ჰადერსფილდი
ძრიუ 0:1 უიგანი
ლუტონი 1:0 პლიმუთი
პორტ ვეილი 0:2 კარდიფი

**მესამე დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

ლეიტონი 0:1 როჩდეილი

### ჰოლანდია

**პირველი დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

ნაიმეგენი 1:0 ტილბურგი

### შოტლანდია

**პრემიერლიგა**
**გადადებული მატჩი**

დანდი 3:0 ჰიბერნიანი

**პირველი დივიზიონი**
**გადადებული მატჩები**

ალოა 3:2 არბროთი
ეარი 1:0 ფოლკირკი
ინვერნესი 1:5 როსი
ძუინი 1:1 კლაიდი

**მეორე დივიზიონი**
**გადადებული მატჩები**

კოუდენბითი 3:3 სტენჰაუზმური
სტრანრარი 2:3 ბრეჩინი
ერდრი 0:0 ფორფარი
ჰამილტონი 3:0 ბერვიკი

**მესამე დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

მონტროუზი 0:0 მორტონი

# ჩემპიონთა ლიგა II ჯგუფური ეტაპი. IV ტური. დღეს

## A ჯგუფი

### ინტერი — ბარსელონა

**სავარაუდო შემადგენლობები**

ტოლდო, ხ. ძანეტი, კანავარო, გამარა, კოკო, ოკანი, კ. ძანეტი, დი ბიაჯო (ან დალმა), მორფეო, ვიერი, კალონი

ბონანო, გაბრი, პუიოლი, დე ბური, რაიციგერი, როჩემბაკი, კოკუ, ხავი, მოტა, კლუივერტი, საციოლა

მილანი. „სან სირო“. მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)

დისკვალიფიცირებულნი: *ინტერი: ივან კორდობა (1 მატჩი), ალვარო რეკობა (3 მატჩი); ბარსელონა: არავინ*



კრისტიან ვიერის და მოჰამედ კალონსაც რამე რომ დაემართოთ, ინტერი უფორვარდოდ დარჩება

### ნიუკასლი — ლევერკუზენი

**სავარაუდო შემადგენლობები**

გივენი, ჰიუზი, ბრემბლი, ობრაიენი, ბერნარი, კერი, დაიერი, სპიდი, რობერი, შირერი, ამეობი

ბუტი, ჟივკოვიჩი, კალუჟნი, კლაინი, პლასენტე, ნოივილი, რამელო, ბაშთურქი, შიმაკი, ბაბიჩი, ფრანცა

ნიუკასლი. „სენტ ჯეიმსიზ პარკი“. მსაჯი: კლაუს-ბო ლარსენი (დანია)

დისკვალიფიცირებულნი: *ლევერკუზენი: ჰანო ბალიტჩი (1 მატჩი); ნიუკასლი: კრეიგ ბელამი (1 მატჩი)*

## კუპერის არჩევანი: სადაა არჩევანი...

„კამპ ნოუზე“ „ინტერის“ დამარცხებით „ბარსელონამ“ სრულიად ევროსათასო რეკორდი გაიმეორა, რომელიც „აიაქსმა“ 1987-88 წლებში დაამყარა — ზედიზედ 11 თამაში მოიგო. მაგრამ სტატისტიკას თუ გადავხედავთ, „ბარსას“ „სან სიროზე“ მოგება უნდა გაუჭირდეს და შესაბამისად, „აიაქსს“ ვერ გადაუსწროს. მიზეზი კი ის გახლავთ, რომ „ინტერმა“ ბოლო 11 საშინაო სალიგო თამაშიდან მხოლოდ ერთი წააგო — „ლიონთან“ საამსეზონო პირველ ჯგუფურ ეტაპზე. ერთიცაა, „ბარსას“ იტალიაში ბოლო სამი სტუმრობიდან ერთხელაც არ მოუგია.

სადღეისოდ კი ასეთი ვითარებაა: ექტორ რაულ კუპერს დისკვალიფიკაციათა გამო ორი მნიშვნელოვანი მოთამაშე დააკლდება, კოლუმბიელი მცველი ივან კორდობა და ურუგვაელი ფორვარდი ალვარო რეკობა. ამ უკანასკნელს წინა ტურში „კამპ ნოუზე“ ჰამაძაღლობა სამ მატჩად შეუფასეს.

ამათ გარდა ვერ ითამაშებს ცენტრალური მცველი მარკო მატერაცი, რომელსაც კუნთი დაჭიმია. ეს ნიშნავს, რომ კუპერი მის პოზიციაზე პარაგვაელ კარლოს ალბერტო გამარას ათამაშებს, მეორე ცენტრალური მცველი კი ფაბიო კანავარო იქნება.

მცირე ტრავმა აწუხებდა თურქ ოკან ბურუქს, თუმცა ვინძლო დროულად მომჯობინდეს, ნახევარდაცვის ცენტრში კი მწვრთნელს ლუიჯი დი ბიაჯოსა და ფრანგ სტეფან დალმას შორის მოუწევს არჩევანის გაკეთება. შეტევაში კუპერს არჩევანის საშუალება უბრალოდ არ აქვს — რეკობა, დისკვალიფიცირებულია, ბატისტუტას წლეულს ლიგაში თამაშის უფლება აღარ აქვს, ერნან კრესპო და ნიკოლა ვენტოლა დაშავებულები არიან. ვინღა დარჩა? მოჰამედ კალონი და კრისტიან ვიერი, ხოლო ამათაც რომ რამე დაემართოთ, „ინტერი“ უბრალოდ უფორვარდოდ დარჩება.

„ბარსელონამ“ პრიმერადივიზიონის წინა ტურში „ბეტისს“ 4:0 კი მოუგო, მაგრამ ერთი ცუდი ამბავი შეემთხვა — ძლივს მომჯობინებული მარკ ოვერმარსი ისევ დაშავდა. ჰოლანდიელ გარემარბს ალბათ ბრაზილიელი ფაბიო როჩემბაკი შეცვლის, ხუან პაბლო სორინის ნაცვლად კი, რომელიც „ბარსას“ სალიგო განაცხადში არ არის, გაბრი ითამაშებს.

ბოლოს კი დავძინოთ, რომ გამარჯვების შემთხვევაში ახალი რეკორდის დამყარებასთან ერთად „ბარსელონა“ მეოთხედფინალში გასვლასაც გაინაღდებს.

„ლევერკუზენის“ შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი ულიმლამოდ გამოიყურება და წაგების შემთხვევაში ჯგუფში ჩარჩენას გაინაღდებს, თუმცა ფრეს შემთხვევაში მცირეოდენი თეორიული შანსი დარჩება („ინტერმა“ თუ წააგო), მაგრამ ჯგუფიდან გასვლის მეტი შანსი, ცხადია, „ნიუკასლს“ აქვს.

ინგლისელებს დაუბრუნდებათ მთავარმეგოლე ალან შირერი, რის გამოც სათადარიგოდ გამწესდება წინა ტურში ერთი გოლის გამტანი ლომანა ლუა ლუა. იმავ ტურში დუბლის შემსრულებელი შოლა ამეობი კი კვლავ სასტარტო შემადგენლობაში ითამაშებს, რადგან უელსელი კრეიგ ბელამი კვლავაც დისკვალიფიცირებულია.

სერ ბობი რობსონს დაშავებულები ჰყავს ჯერმენ ჯენასი და ნოლბერტო სოლანო, რაც შოტლანდიელ ბრაიან კერს აძლევს თამაშის საშუალებას. ენდი გრიფინს კი ფრანგი ოლივიე ბერნარი შეცვლის, ვინაც პრემიერლიგის ბოლო ტურში დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშა და ძალა ერჩის. ჯონათან ვუდგეიტს, მოგეხსენებათ, ამ სეზონში ლიგაში თამაშის უფლება არ აქვს.

„ლევერკუზენზე“ ერთი წინადადებაღა ვიკმაროთ: ლიგის შარშანდელ ფინალისტს იენს ნოვოტნი, ბერნდ შნაიდერი, დიტმარ ბერბატოვი, ჟუანი და დანიელ ბიროფკა დაშავებულები ჰყავს, ჰანო ბალიტჩი კი დისკვალიფიცირებულია. ჰოდა...

**ირაკლი ნინიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 3 | 3 | 0 | 0 | 8:2 | 9 |
| ინტერი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:6 | 6 |
| ნიუკასლი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:8 | 3 |
| ლევერკუზენი | 3 | 0 | 0 | 3 | 4:8 | 0 |

## B ჯგუფი

### აიაქსი — არსენალი

**სავარაუდო შემადგენლობები**

ლობონტი, ტრაბელსი, კივუ, პასანენი, ვან დამი, დე იონგი, გალაშეკი, პიენაარი, მაქსველი, იბრაჰიმოვიჩი, ვან დერ მეიდე

სიმენი, ლორენი, კემპბელი, კიოუნი, კოული, ვილტორდი, ჟილბერტო სილვა, ვიეირა, პირესი, ანრი, ბერხკამპი

ამსტერდამი. „ამსტერდამ არენა“. მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

დისკვალიფიცირებულნი: *აიაქსი: არავინ; არსენალი: არავინ*

### ვალენსია — რომა

**სავარაუდო შემადგენლობები**

კანისარესი, რეველიერი, აიალა, პელეგრინო, კარბონი, რუფეტე, ალბელდა, ბარახა, ვისენტე, აიმარი, კარეუ

პელიცოლი, პანუჩი, სამუელი, ალდაირი, კანდელა, კაფუ, ემერსონი, ლიმა, გიგუ, ტოტი, კასანო

ვალენსია. „მესტალია“. მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

დისკვალიფიცირებულნი: *ვალენსია: მისტა (1 მატჩი), მიგელ ანხელ ანგულო (2 მატჩი); რომა: არავინ*

## 22 ნაწყენი სტუმარი
## რომა საძაგელი დასახვედრია

„აიაქსის“ მწვრთნელი, რონალდ კუმანი „არსენალს“ იმავე შემადგენლობას დაუპირისპირებს, რომლითაც ერთი კვირის წინ, ლონდონში, 1:1 ეთამაშა. ამ უქმეებზე კი ამსტერდამელები ჰოლანდიის ჩემპიონატში „უტრეხტს“ შეხვდნენ, 0:1 წააგეს და ეს მატჩი თავიანთი 18 წლის თავდამსხმელის, ნაიჯელ დე იონგის დასასვენებლად გამოიყენეს. შეგახსენებთ, დე იონგი ის ფეხბურთელია, რომელმაც წინა სამშაბათს „არსენალს“ გოლი გაუტანა.

რაც შეეხება მეორე თავდამსხმელს, რაფაელ ვან დერ ვაარტს, მას ბარძაყის ტკივილი ბოლომდე არ გასვლია და ამიტომ, დღეს თამაშს მოერიდება.

„რაფაელს ძალიან უნდა გავუფრთხილდეთ, — ამბობს კუმანი, — როდესაც ბოლო ორი წლის განმავლობაში მის მიერ ჩატარებული 80 თამაშის სიას ჩავხედე, გავოცდი. საქმე კი ის გახლავთ, რომ იგი თავისებური მოთამაშეა და ნებისმიერი მატჩისთვის დალის ლასჰა მხოლოდ 80 პროცენტით მომზადებულსაც შეუძლია“.

არ იქნება კიდევ ერთი ფორვარდი მიდო, რომელიც წინა კვირაში ცუდი ყოფაქცევისთვის დაისაჯა — „პსვ ეინდჰოვენს“, კუმანის აზრით, მთელი ძალით არ ეთამაშა.

„აიაქსის“ ვარჯიშზე, ორშაბათს, არ იყვნენ ჰატემ ტრაბელსი, ტომაშ გალაშეკი და პეტრი პასანენი, თუმცა კლუბის ოფისში გვპირდებიან, რომ დღეს, მოედანზე ყველას ვიხილავთ.

„არსენალს“ ერთი კვირის წინ ნათამაშევი 1:1 სულაც არ აძლევს ხელს, ამიტომ „ამსტერდამ არენაზე“ ყველა ღონეს იხმარს, რათა სამი ქულა მიითვალოს. რეპეტიცია კი ჩინებული გამოუვიდა — შაბათს, პრემიერლიგაში „მანჩესტერ სიტის“ 5:1 მოუგო.

„მეთოფეთა“ მწვრთნელს, არსენ ვენგერს შესაძლოა ჰყავდნენ მეკარე დევიდ სიმენი, მცველი ეშლი კოული, რომელთაც საექიმოდ ჰქონდათ საქმე, მაგრამ ამბობენ, გამოჯანმრთელდნენო. დანამდვილებით არ იქნებიან ოლეგ ლუჟნი და ნვანკვო კანუ.

ცნობისთვის: „აიაქსთან“ ინგლისიდან ოცდაორი წელიწადია არავინ ჩასულა სათამაშოდ.

ვალენსიაში კი „რომას“ კარს არგენტინელი გამთამაშებელი პაბლო აიმარიც შეუტევს და ესპანეთის ნაკრების გარემარბი ვისენტეც — ორივე გამოჯანმრთელდა.

ერთი კვირის წინ, რომში „ვალენსიამ“ იონ კარეუს შემთხვევითი ვოლის წყალობით გაიმარჯვა და ახლა, შინ, ვინ იცის, მეორედაც მოიგოს. წინა უქმეებზე, ესპანეთის ჩემპიონატში კი მან „რაიო ვალეკანოს“ 4:0 მოუგო.

იმ შეხვედრაში, „რაიო ვალეკანოსთან“, ანგარიში მიგელ ანხელ ანგულომ გახსნა, მაგრამ ანგულოს პრობლემა ის არის, რომ ევროპულ სარბიელზე დისკვალიფიცირებულია, ასე რომ, ნახევარდაცვის მარჯვენა ფრთაზე, სავარაუდოდ, ფრანსისკო რუფეტეს ვიხილავთ.

„რომას“ ფრანჩესკო ტოტი უბრუნდება. მას მთელი სამი კვირის მანძილზე კუნთების პრობლემა ჰქონდა.ისე, მწვრთნელისთვის, ფაბიო კაპელოსთვის ტოტი დროულად ბრუნდება, რადგან ესპანეთში ვერ ითამაშებენ მარკო დელვეკიო და ვინჩენცო მონტელა.

კაპელოს დაცვის ცენტრიც გადასაწყობი აქვს, რადგან ბერძენი მცველი ტრაიანოს დელასი გუნდს ვერ დაეხმარება და არგენტინელი ვალტერ სამუელის მხარდამხარ ან ჯონათან ძებინამ უნდა ითამაშოს ან ალდაირმა.

ცნობისთვის: „ვალენსიას“ ჩემპიონთა ლიგაში სულ 22 საშინაო შეხვედრა აქვს ჩატარებული და ერთიც არ წაუგია. კიდევ „მესტალიაზე“ ერთ გოლზე მეტი მხოლოდ ორ გუნდს, „ლაციოსა“ და „ბაზელს“ აქვს გატანილი და მათაც 2:6 და 2:5 წააგეს.

და „რომა“? „რომა“ ბოლოხანს საძაგელ ფორმაშია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჩემპიონთა ლიგაში, ბოლო 14 სტუმრობიდან მხოლოდ ორი მარცხი იწვნია.

**პაატუნა ძიძია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| არსენალი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| ვალენსია | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| რომა | 3 | 0 | 0 | 3 | 2:6 | 0 |



ფრანჩესკო ტოტი „რომას“ ბოლო შანსია




ტედი შერინგემს პენალტით გათანაბრება არ გასჭირვებია,
არც გრემ ბარბერს აჰკანკალებია ხელი დარენ ანდერტონის გასაძევებლად

# ათი ათზე

## ინგლისი

### პრემიერლიგა
XXVIII ტური

**ტოტენჰემი 1:1 ფულჰემი**

0:1 კინგი (15ს.კ.), 1:1 შერინგემი (40პ)
**ტოტენჰემი:** კელერი, ბუნიევჩევიჩი, კინგი, რიჩარდსი, ტარიკო, ანდერტონი, პოიეტი (აჩიმოვიჩი 35), ს. დევისი, კარი, შერინგემი, დოჰერტი (ეზერინგტონი 84)
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
**ფულჰემი:** მაიკ ტეილორი, ფინანი, უადუ, ვომე, ჯებუ (ზ. ნაითი 13), შ. დევისი, მალბრანკი, ბოა მორტე, ლეგვინსკი, მარლე (საჰა 19), სავა (ერერა 39)
მწვრთნელი: ჟან ტიგანა
გაფრთხილება: რიჩარდსი, ანდერტონი, გომე, ანდერტონი, ბოა მორტე
გაძევება: ტეილორი (38), ანდერტონი (73)
მსაჯი: ბარბერი
34 704 მაყურებელი

**ცხარე თამაში** „უაით ჰარტ ლეინზე", რომელიც პრემიერლიგის 28-ე ტური დასრულდა, ფრედ 1:1-ზე დამთავრდა „ტოტენჰემსა" და „ფულჰემს" შორის.

ორივე გუნდმა ათ-ათი კაცით დაასრულა თამაში, რადგან მსაჯმა გრემ ბარბერმა ჯერ სტუმართა მეკარე მაიკ ტეილორი გააძევა, მერე კი, ორი ყვითლით, დარენ ანდერტონი.

ანგარიში სტუმრებმა გახსნეს: მეკარის ღონივრად დარტყმული ბურთი სტივ მარლეტ ბოა მორტეს დაუგდო, ამან დაარტყა, ბურთი ტოტენჰემელ ლედლი კინგს მოხვდა და კარში შევარდა.

მასპინძლებმა შტურმი გამართეს და ივან კინგს და ანდერტონსაც შეეძლოთ გატანა. მერე ტეილორი ფეხებში ჩაუვარდა საჯარიმოში შეჭრილ საიმონ დევისს და წითელ ბარათთან ერთად პენალტიც მიიღო. ტელეგამეორებებზე კარგად ჩანდა, რომ ტეილორი ხელით ბურთს შეეხო და მერედა წამოუღო დევისი, მაგრამ მსაჯს რაღას მოსთხოვდი. „ალავესიდან" გადაყვანილი არგენტინელი მარტინ ერერა ჩადგა, რომელსაც პენალტი ტედი შერინგემმა გაუტანა.

„ჩვენ კარგახანს ვეთამაშეთ კაცნაკლულ გუნდს, ეს მოსაგებად უნდა გამოგვეყენებინა" — თქვა გლენ ჰოდლმა, — ამიტომ მოწინააღმდეგე ქულას იმსახურებდა".

მერე ანდერტონმა ლუის საჰა მოცელა და მეორე ყვითელიც მიიღო. საჰამ გვარიანად ტანჯა მასპინძლები, მისი დარტყმული ერთხელ ძელსაც კი მოხვდა.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 28 | 18 | 6 | 4 | 62:30 | 60 |
| მანჩესტერი | 28 | 16 | 7 | 5 | 45:26 | 55 |
| ნიუკასლი | 27 | 16 | 4 | 7 | 45:32 | 52 |
| ჩელსი | 28 | 13 | 9 | 6 | 49:29 | 48 |
| ევერტონი | 28 | 14 | 6 | 8 | 37:33 | 48 |
| ჩარლტონი | 28 | 13 | 6 | 9 | 39:34 | 45 |
| ლივერპული | 28 | 11 | 10 | 7 | 39:28 | 43 |
| ტოტენჰემი | 28 | 12 | 7 | 9 | 41:38 | 43 |
| ბლექბერნი | 28 | 10 | 10 | 8 | 34:32 | 40 |
| საუთჰემპტონი | 28 | 10 | 9 | 9 | 29:28 | 39 |
| სიტი | 28 | 11 | 5 | 12 | 39:43 | 38 |
| ასტონ ვილა | 28 | 10 | 5 | 13 | 31:32 | 35 |
| მიდლსბრო | 27 | 9 | 7 | 11 | 33:31 | 34 |
| ლიდსი | 28 | 10 | 4 | 14 | 34:37 | 34 |
| ფულემი | 28 | 9 | 7 | 12 | 32:35 | 34 |
| ბირმინგემი | 28 | 7 | 8 | 13 | 25:40 | 29 |
| ბოლტონი | 28 | 5 | 11 | 12 | 30:45 | 26 |
| ვესტ ჰემი | 28 | 5 | 8 | 15 | 30:53 | 23 |
| ვესტ ბრომვიჩი | 28 | 5 | 6 | 17 | 21:43 | 21 |
| სანდერლენდი | 28 | 4 | 7 | 17 | 19:45 | 19 |

# ჩაქუჩთა შორის უჩაქუჩესი

## მე ვარ დი კანიო, ვესტ ჰემის თილისმა!



პაოლო დი კანიომ გლენ როედერი, ვინ იცის, მერამდენედ გააწბილა

**პაოლო დი კანიო** სიფიცხით გამორჩეული კაცია. „ვესტ ბრომვიჩთან" მატჩის 49-ე წუთზე გლენ როედერმა იტალიელი ჯერმენ დეფოთი შეცვალა. იმ მომენტისთვის „ვესტ ჰემი" 1:0-ს იგებდა. შეცვლა და გოლი „ჩაქუჩების" კარში ერთი იყო. დი კანიომ მოედნიდან მისი გაწვევა შეურაცხყოფად აღიქვა. ფეხბურთელმა ხელების ქნევა და ლანძღვა-გინება დაიწყო, რაც სათადარიგოთა სკამზე ჯდომისასაც სულმოუთქმელად გააგრძელა.

მატჩის შემდეგ იტალიელმა ჯავრი ამოანთხია და თქვა: „ზაფხულში კონტრაქტის ვადა რომ დამიმთავრდება, ლონდონში აღარ გავჩერდები. შეურაცხყოფილი ვარ უბრალოდ შეცვლის ფაქტით კი არა, როედერისეული შეცვლით. მან მითხრა, ჯანზე ვერ ხარ, დასვენება მოგიხდებაო, თითქოს მომიბოდიშა. კარგად ვთამაშობდი და რატომ გამიყვანა მოედნიდან, არ მესმის. იმ დროისთვის თამაშს ვიგებდით. არ ვიცი, ეგებ კლუბის ბოსების დაკრულზე უკრავს? ჩემმა აგენტმა ამას წინათ უთხრა, ზაფხულში დი კანიოს სხვა კლუბი უნდა მოვუძებნოო და იქნებ ამის გამო ამითვალწუნეს? მწვრთნელი ამტკიცებს, ტრავმა გაწუხებდაო, მე უკეთ ვიცი, მაწუხებს თუ არა ფეხი. ეს ჩემი და მხოლოდ ჩემი გადასაწყვეტია. გამოცდილი კაცი ვარ და ალარაფერი მესწავლება. გლენ როედერი ჯერ ახალგაზრდაა. ხანდახან ცდება. კი, მატჩი მოვიგეთ, მაგრამ მაინც ბოლოდან მესამე ადგილზე ვართ. მეორე ტაიმში გავრისკეთ და შეიძლებოდა, ძვირადაც დაგვჯდომოდა. სანამ მოედანზე ვიყავი, ჩვენს მეკარეს საქმე არ ჰქონდა, გავედი თუ არა, ბურთების მოგერიებას ველარ აუდიოდა. აბა, დაფიქრდით, ამ სეზონში 12 მატჩი გამიცდა და უჩემოდ გუნდს თორმეტიდან ერთიც არ მოუგია. ეს ხომ რაღაცას ნიშნავს. იქნებ გუნდის თილისმა ვარ? მოედანზე პაოლო დი კანიოს ყოფნა აუცილებელია. ცალფეხა რომ ვიყო, მინდორზე მაინც გავალ და ჩემს გუნდს დავეხმარები. ასეა ეს, მაგრამ ვერ შევასმინე მწვრთნელს!".

გლენ როედერი ალბათ, მართლაც უკონფლიქტო კაცია, რადგან დი კანიოს მონოლოგი უპასუხოდ დატოვა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## გერმანია

### მეორე ბუნდესლიგა
XXII ტური

**ფრაიბურგი 2:0 ბრაუნშვაიგი**

1:0 ბაირამოვიჩი (13), 2:0 ვილი (46)
**ფრაიბურგი:** გოლცი, ვილი, შ. მიულერი, შუმანი, კობიაშვილი, ბაირამოვიჩი (ბერნერი 84), ა. ცაიერი (ცხადაძე 69), შერმელი, კულიბალი, იაშვილი, გუიე-მიენი
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
17 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 21 | 12 | 9 | 0 | 44:23 | 45 |
| მაინცი | 22 | 13 | 3 | 6 | 38:21 | 42 |
| ფრაიბურგი | 21 | 12 | 4 | 5 | 33:18 | 40 |
| აინტრახტი | 22 | 11 | 7 | 4 | 34:19 | 40 |
| ტრირი | 22 | 10 | 6 | 6 | 40:29 | 36 |
| ალემანია | 21 | 9 | 7 | 5 | 39:30 | 34 |
| ფიურტი | 22 | 8 | 9 | 5 | 28:23 | 33 |
| დუისბურგი | 21 | 8 | 7 | 6 | 31:29 | 31 |
| ობერჰაუზენი | 21 | 8 | 6 | 7 | 25:24 | 30 |
| ბურგჰაუზენი | 22 | 6 | 9 | 7 | 34:30 | 27 |
| ლიუბეკი | 22 | 8 | 2 | 12 | 33:35 | 26 |
| როიტლინგენი | 21 | 7 | 4 | 10 | 28:33 | 25 |
| უნიონი | 21 | 5 | 9 | 7 | 26:39 | 24 |
| ალენი | 22 | 6 | 4 | 12 | 27:38 | 22 |
| კარლსრუე | 22 | 4 | 9 | 9 | 20:33 | 21 |
| ვალდჰოფი | 22 | 5 | 5 | 12 | 26:44 | 20 |
| ზანკტ პაული | 22 | 4 | 5 | 13 | 31:48 | 17 |
| ბრაუნშვაიგი | 21 | 3 | 5 | 13 | 20:41 | 14 |

## ჩეხეთი

XVII ტური

**სპარტა 1:0 ბუდეიოვიცე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 17 | 12 | 3 | 2 | 27:6 | 39 |
| სლავია | 17 | 10 | 6 | 1 | 34:10 | 36 |
| ლიბერეცი | 17 | 10 | 2 | 5 | 27:19 | 32 |
| ტეპლიცე | 17 | 10 | 1 | 6 | 23:19 | 31 |
| ჟიჟკოვი | 17 | 9 | 3 | 5 | 24:21 | 30 |
| ბანიკი | 17 | 8 | 4 | 5 | 26:18 | 28 |
| სინოტი | 16 | 7 | 4 | 5 | 19:18 | 25 |
| პრჟიბრამი | 17 | 5 | 6 | 6 | 16:16 | 21 |
| ბლშანი | 17 | 6 | 3 | 8 | 16:19 | 21 |
| ბუდეიოვიცე | 17 | 6 | 2 | 9 | 23:31 | 20 |
| ბრნო | 17 | 5 | 4 | 8 | 18:20 | 19 |
| იაბლონეცი | 17 | 4 | 7 | 6 | 17:25 | 19 |
| ზლინი | 17 | 4 | 5 | 8 | 17:27 | 17 |
| სიგმა | 16 | 2 | 5 | 9 | 13:20 | 11 |
| ბოჰემიანსი | 17 | 2 | 5 | 10 | 23:38 | 11 |
| ჰ. კრალოვე | 17 | 1 | 8 | 8 | 14:30 | 11 |

## საფრანგეთი

28-ე ტური: ბასტია — ნიცა 1:1; გენგამი — პსჟ 3:2; ლანსი — მონპელიე 4:0; ლიონი — რენი 4:1; მარსელი — ლილი 2:0; მონაკო — ოსერი 3:1; ნანტი — აიაჩო 1:0; სედანი — ბორდო 0:1; სოშო — ლე ავრი 1:0; ტრუა — სტრასბური 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარსელი | 28 | 15 | 6 | 7 | 32:23 | 51 |
| მონაკო | 28 | 13 | 10 | 5 | 43:22 | 49 |
| ლიონი | 28 | 12 | 9 | 7 | 47:33 | 45 |
| ნიცა | 28 | 11 | 11 | 6 | 32:22 | 44 |
| სოშო | 27 | 12 | 8 | 7 | 29:22 | 44 |
| ბორდო | 27 | 12 | 7 | 8 | 38:28 | 43 |
| ოსერი | 27 | 12 | 7 | 8 | 27:24 | 43 |
| ბასტია | 28 | 12 | 6 | 10 | 31:30 | 42 |
| ლანსი | 27 | 10 | 11 | 6 | 35:26 | 41 |
| ნანტი | 27 | 12 | 5 | 10 | 30:28 | 41 |
| პსჟ | 28 | 10 | 9 | 9 | 35:28 | 39 |
| გენგამი | 27 | 11 | 4 | 12 | 38:40 | 37 |
| სტრასბური | 27 | 9 | 7 | 11 | 30:38 | 34 |
| ლე ავრი | 28 | 8 | 8 | 12 | 21:31 | 32 |
| რენი | 28 | 7 | 7 | 14 | 23:33 | 28 |
| ლილი | 26 | 7 | 7 | 12 | 20:34 | 28 |
| აიაჩო | 27 | 6 | 9 | 12 | 20:32 | 27 |
| სედანი | 27 | 7 | 6 | 14 | 28:43 | 27 |
| ტრუა | 28 | 6 | 8 | 14 | 18:26 | 26 |
| მონპელიე | 27 | 5 | 9 | 13 | 24:38 | 24 |

## იტალია

### სერია B. XXIII ტური

**ტრიესტინა 1:0 ლივორნო**

1:0 პარიზი (9)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანკონა | 23 | 11 | 8 | 4 | 35:26 | 41 |
| სიენა | 23 | 10 | 10 | 3 | 26:17 | 40 |
| სამპდორია | 23 | 10 | 9 | 4 | 32:19 | 39 |
| ტრიესტინა | 23 | 11 | 6 | 6 | 34:24 | 39 |
| ვიჩენცა | 23 | 10 | 8 | 5 | 35:28 | 38 |
| ლივორნო | 23 | 10 | 5 | 8 | 27:19 | 35 |
| ლეჩე | 23 | 8 | 11 | 4 | 26:21 | 35 |
| ტერნანა | 23 | 8 | 7 | 8 | 27:25 | 31 |
| მესინა | 23 | 7 | 9 | 7 | 32:29 | 30 |
| ვერონა | 23 | 7 | 9 | 7 | 27:24 | 30 |
| ასკოლი | 23 | 8 | 6 | 9 | 27:29 | 30 |
| პალერმო | 23 | 8 | 6 | 9 | 22:25 | 30 |
| ვენეცია | 23 | 8 | 6 | 9 | 23:28 | 30 |
| კალიარი | 23 | 8 | 6 | 9 | 21:28 | 30 |
| ჯენოა | 23 | 7 | 7 | 9 | 29:27 | 28 |
| კატანია | 23 | 7 | 4 | 12 | 26:36 | 25 |
| ნაპოლი | 23 | 5 | 9 | 9 | 25:32 | 24 |
| ბარი | 23 | 4 | 11 | 8 | 20:24 | 23 |
| კოზენცა | 23 | 6 | 5 | 12 | 19:28 | 23 |
| სალერნიტანა | 23 | 4 | 4 | 15 | 16:40 | 16 |

## პორტუგალია

### პირველი ლიგა XXIII ტური

**ნასიონალი 2:2 ლეირია**

1:0 ლუზადა (5), 1:1 უგო ალმეიდა (57), 2:1 ლუზადა (71), 2:2 მ. კუნია (90)

**მორეირენსე 1:2 სპორტინგი**

0:1 ჟარდელი (1), 1:1 ფრუტუოზო (60), 1:2 რუი ჟორჟე (62)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 23 | 19 | 3 | 1 | 51:19 | 60 |
| ბენფიკა | 23 | 15 | 5 | 3 | 49:17 | 50 |
| სპორტინგი | 23 | 15 | 2 | 6 | 38:24 | 47 |
| გიმარაეში | 23 | 11 | 5 | 7 | 38:28 | 38 |
| ლეირია | 23 | 10 | 5 | 8 | 35:33 | 35 |
| ჟილ ვისენტე | 23 | 10 | 2 | 11 | 33:36 | 32 |
| ბელენენსეში | 23 | 8 | 6 | 9 | 30:32 | 30 |
| ვარზიმი | 23 | 8 | 5 | 10 | 28:30 | 29 |
| ბრაგა | 23 | 7 | 8 | 8 | 21:32 | 29 |
| ნასიონალი | 23 | 7 | 7 | 9 | 25:29 | 28 |
| ბოავიშტა | 23 | 6 | 9 | 8 | 21:21 | 27 |
| ფერეირა | 23 | 7 | 6 | 10 | 22:32 | 27 |
| მარიტიმუ | 23 | 8 | 2 | 13 | 26:39 | 26 |
| აკადემიკა | 23 | 6 | 7 | 10 | 26:34 | 25 |
| მორეირენსე | 23 | 5 | 8 | 10 | 26:32 | 23 |
| სანტა კლარა | 23 | 5 | 8 | 10 | 27:36 | 23 |
| სეტუბალი | 23 | 4 | 9 | 10 | 25:32 | 21 |
| ბეირა მარი | 23 | 4 | 7 | 12 | 25:40 | 19 |

## ბელგია

23-ე ტური: ვესტერლო — ლოკერენი 1:3; ბევერენი — ბეერსხოტი 3:1; გენკი — შარლერუა 3:0; მუსკრონი — ანდერლეხტი 1:0; ანტვერპენი — მონსი 0:1; სტანდარდი — ლიერსი 1:1; მეხელენი — სენტ ტრუიდენი 0:0; გენტი — ბრიუგე 1:4; ლუვიე — ლომელი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 22 | 20 | 1 | 1 | 74:19 | 61 |
| ლიერსი | 22 | 13 | 6 | 3 | 39:20 | 45 |
| ანდერლეხტი | 22 | 14 | 2 | 6 | 49:26 | 44 |
| ლოკერენი | 22 | 13 | 4 | 5 | 46:32 | 43 |
| სენტ ტრუიდენი | 22 | 12 | 6 | 4 | 51:28 | 42 |
| გენკი | 22 | 12 | 5 | 5 | 53:35 | 41 |
| მონსი | 22 | 10 | 3 | 9 | 32:26 | 33 |
| გენტი | 22 | 10 | 2 | 10 | 34:35 | 32 |
| სტანდარდი | 22 | 8 | 7 | 7 | 36:30 | 31 |
| მუსკრონი | 22 | 8 | 5 | 9 | 36:44 | 29 |
| ბევერენი | 22 | 8 | 2 | 12 | 29:51 | 26 |
| ანტვერპენი | 22 | 7 | 4 | 11 | 32:42 | 25 |
| ლუვიე | 22 | 6 | 5 | 11 | 23:30 | 23 |
| ვესტერლო | 22 | 7 | 1 | 14 | 19:38 | 22 |
| ბეერსხოტი | 22 | 6 | 3 | 13 | 36:43 | 21 |
| ლომელი | 22 | 4 | 3 | 15 | 19:40 | 15 |
| შარლერუა | 22 | 3 | 6 | 13 | 26:51 | 15 |
| მეხელენი | 22 | 2 | 5 | 15 | 15:59 | 11 |


**სამკურნალო გაერთიანება „ლიგა"**

დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე

სექსოპათოლოგიის კლინიკა

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

**ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21**

ვაქცინაციის ცენტრი

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის" ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
  წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა"
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15




დევიდ ბექემი კარლო ანჩელოტის გულზე არ ეხატება

# მილანში სტილს არ ცვლიან

## მოდური ბექემი იტალიაში დაიწუნეს

**ერთი** უშნოდ მოიქნია ფეხი ბატონმა ფერგიუსონმა და ნახევარი მსოფლიო ბექემის „მანჩესტერ იუნაიტედიდან" წასვლაზე ალაპარაკდა. „რეალიო", „მილანიო", „იუვენტუსიო" — მოკლედ, ზესტაფონის გარდა (იქ გუნდი იშლება და ბექემისთვის არ სცალიათ) თითქოს ყველგან დაფაცურდნენ ამჟამად ყველაზე პოპულარული ადამიანის შესაძენად, მაგრამ საქმე მთლად ასე არ ყოფილა.

ტურინის „იუვენტუსის" გენერალურმა დირექტორმა ლუჩანო მოჯიმ, კლუბის ყველა ტრანსფერის გამჩარხავმა, პირველმა უარყო ბექემით დაინტერესება. „ის ქალებს უფრო მოსწონთ, ვიდრე მე" — თქვა მოჯიმ და ისიც ახსნა, მაგ ბიჭს ფენომენალურ ფეხბურთელად სულაც არ ვთვლი, თანაც ახლა ჩვენ კლუბს მცველი უფრო სჭირდება, ვიდრე ნახევარმცველიო.

კარგით, ტურინი არა და მაშ მილანი? ქალაქი, რომელიც, თუ მავანთ დაეჯერება, მისის ბექემს ყოველდღე ესიზმრება? თურმე ნუ იტყვით და, ბექემს არც ამ ფეშენ-ქალაქში ელიან — შაბათს „მილანის" მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმაც იუარა წარბდაზიანებული დევიდის ყიდვის სურვილი: „საქმე ფულში როდია. უბრალოდ, ჩემთვის ის სულაც არ არის იდეალური მოთამაშე. ბექემი რომ აქ გადმოვიდეს, თამაშის ჩვეული სტილის მთლიანად შეცვლა მოგვიწევს, ეს კი ამ ეტაპზე ნამდვილად არ გვჭირდება" — თქვა კალაძის ახლანდელმა დამრიგებელმა.

ისე, მეტ-ნაკლები სიცხადისთვის შეგახსენებთ, რომ „მილანმა" ერთხელ უკვე მიმართა მანჩესტერელებს ბექემის თაობაზე, მაგრამ ისეთი ცივი უარი მიიღო, ვფიქრობთ, ხალისი მთლად დაკარგა.

**გიგა ძოწახიძე**

# სამ ფუნტს სამ ფუნტს დავადებ...




უეინ რუნი მალე მილიონერი გახდება



**უბრალოდ,** სათაურად მოუხდა, თორემ წესით ფუნტი კი არა, გირვანქა სტერლინგია, ბრიტანული ფულის ერთეული, რომელიც ამერიკულ დოლარს დაახლოებით ერთნახევარჯერ სჯობს.

საქმეზე გადავიდეთ: ალბიონური პრესა წერს, რომ 17 წლის უეინ რუნი, პრემიერლიგასა და ინგლისის ნაკრებში კომეტასავით შეჭრილი ევერტონელი ყმაწვილი, მალე მილიონერი გახდება. ჰოდა, ჩვენ დავაზუსტოთ, რომ უეინი უკვე მილიონერია, თუ მის შემოსავალს დოლარებში დავითვლით.

კი მაგრამ, საიდანო, იკითხავს ლაკვირვებული მკითხველი, რომელსაც ახსოვს, რომ გასული წლის ბოლოს რუნის ხელფასი კვირაში 90 გირვანქიდან უცბად 15 ათასამდე გაიზარდა. იცოცხლეთ, კარგი ფულია, მაგრამ ამით მილიონი რიდის დაგროვდება?

კარგით რა, იმ ხალხს საქმე ესწავლება? რუნის პირველი გოლი ჯერ ტელევიზიით არ იყო ნაჩვენები, რომ „ევერტონის" შეკვეთით მისი გვარიანი მაისურების მასიური გამოშვება დაიწყო — ცხადია, ჭაბუკ ვარსკვლავთან ცინცხლად გაფორმებული კონტრაქტის შესაბამისად. კონტრაქტში კი ჩაიწერა, რომ ყოველი გაყიდული მაისურიდან რუნის 3 გირვანქა ერგებოდა.

3+3+3+... მრიცხველი ტრიალებს და დღეისთვის ROONEY-თი დამშვენებული 250 ათასამდე მაისური გაიყიდა, უმრავლესობა აზიაში, სადაც ინგლისური ფეხბურთის დიდი ფანობა თავმოყრილა. ჰოდა, 750 ათასი გირვანქა უკვე დაგროვდა. მალე მილიონიც შესრულდება.

**გიგა ძოწახიძე**

სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე. (ორშაბათის და პარასკევის გარდა)
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

# იდეალისტი ფრანგი ვაჭარი

## მომეცით ფული და მე შევქმნი მას



**ზედიზედ** რამდენიმე სეზონია, ლონდონის „არსენალი" ჩემპიონთა ლიგის ფინალისკენ მიცოცავს, მაგრამ მეოთხედფინალს ვერაფრით გასცდა. არსენ ვენგერი დანავსული ზღურბლის გადალახვას ამ გაზაფხულზე აპირებს: „ბრძოლისუნარიანი გუნდის შექმნას ჩემი ცოდნა მოვახმარე და, როგორც ჩანს, ოფლი მუქთად არ დამიღვრია. გამარჯვების წყურვილი „არსენალს" ყოველთვის თან სდევდა, ახლა ეს სურვილი გამოცდილებითაა გაჯერებული, ამიტომ, ვფიქრობ, რომ წლევულს ჩემპიონთა ლიგის მოგება შეგვიძლია."

თავის მხრივ, მოთმინება დაუფასდათ კლუბის ბოსებსაც, რომლებიც ამ ხნის მანძილზე ვენგერს შეჰყურებდნენ. „არსენალი" „რეალივით" ფულის ხარჯვაში შემჩნეული არ არის, ვერც საკუთარი სკოლის აღზრდილებით დაიკვეხნის, მაგრამ სამაგიეროდ, არაერთი ფეხბურთელია გუნდში ისეთი, ვენგერმა საკუთარი ფრთის ქვეშ რომ გამოზარდა და კაცად აქცია.

არსენას საწვრთნელი მეთოდები ერთობ თავისებურია. ის არა მარტო ავარჯიშებს ფეხბურთელებს, არამედ პირადად დაიარება იმ მოთამაშეების ლასაზვერად, რომლებიც შესაძლოა, კლუბმა შეიძინოს. გარდა ევროპისა, ფრანგი სპეციალისტი ბრაზილიასა და კოტ-დივუარში წასვლასაც კი არ ერიდება. მას შეუძლია საერთო ენა გამონახოს ისეთებთანაც, ვისაც თავის ძველ კლუბებში მწვრთნელებთან ურთიერთობა არ აეწყოთ.

მაგალითად, პატრიკ ვიეირა ვენგერის პირველი სერიოზული შენაძენი იყო. იგი „მილანიდან" 1996 წელს გადაბარგდა ლონდონში. ბევრმა სპეციალისტმა ეჭვის თვალით შეხედა 20 წლის ფრანგს, რადგან ვიერი „მილანის" სათადარიგოებში იყო ჩაკარგული. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ვენგერი არ შემცდარა — ვიეირა „არსენალის" ჯიგრად იქცა. ამ ტრანსფერმა ფრანგი მწვრთნელის გამჭრიახობა გამოაჩინა. მას შეუძლია სათადარიგოებში იპოვოს მოთამაშე, რომელიც შემდგომში ლიდერი გახდება. ცხადია, ყველას, ვინც მწვრთნელმა ლონდონში ჩაიყვანა, ფეხი არ გამოაჩნდა.

1998-ში, დუბლის შესრულების შემდეგ, ვენგერს კარზე ახალმა პრობლემებმა მიუკაკუნა. ერთი იყო მოკლე სათადარიგო სკამი, მეორე კი დაცვის „სიბერე". დიქსონს, კიოუნს, ადამს და უინტერბერნს სათანადო ცვლა სჭირდებოდა. აქ ფრანგმა მწვრთნელმა თავი მოიფხანა და გადაწყვიტა, გუნდის სათამაშო სქემა გადაეწყო. სამი მცველი და სწრაფი კონტრშეტევები: „დღევანდელ ფეხბურთში — თქვა ვენგერმა — გადაწყვეტილება უსწრაფესად უნდა მიიღო. ამიტომ ბურთმა ტყვიასავით უნდა იფრინოს."

ვენგერს ხელეწიფება ფეხბურთელებისთვის ამპლუის შეცვლაც. ტიერი ანრი, „იუვენტუსში" მარცხენა ფლანგელად რომ თამაშობდა, ვენგერის ხელში ისეთ მრისხანე ფორვარდად ჩამოყალიბდა, თითქმის მატჩს არ ტოვებს უგოლოდ. ანრის თქმით, არსენ ბატონმა მას კარიერა ახლიდან დააწყებინა.

ფრედერიკ ლიუნგბერგი „ჰალმშტადში" გამთამაშებელი იყო, „არსენალში" კი შემტევ ნახევარმცველად მოგვევლინა და არაერთი საჭირო გოლიც გაუტანია. „ბორდოს" ყოფილი ცენტრფორვარდი სილვენ ვილტორდი კი მარჯვენა ფრთის ბატონ-პატრონი გახდა. არსენ ვენგერის ყველაზე იღბლიან შენაძენად მაინც რობერ პირესი ითვლება, რომელიც შარშან პრემიერლიგაში საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

„არსენალის" თავკაცმა მთლიანად გადაახალისა დაცვის ხაზი. სოლ კემპბელი, ჟილბერტო სილვა, პასკალ სიგანი და კოლო ტურე მართლაც რომ სოლიდური ძალაა. არსენ ვენგერი ამბობს, რომ მის განკარგულებაში ამჟამად თითოეულ პოზიციაზე ორი უმაღლესი კლასის ფეხბურთელია: „ჩვენს სამყაროში იდეალური არაფერი არსებობს, თუმც მე თითქმის იდეალური გუნდი შევქმენი. დღევანდელი „არსენალი" მისი არსებობის ისტორიაში უძლიერესია.



არსენ ვენგერი
რობერ პირესითაც იწონებს თავს

იმავდროულად ფრანგი სპეციალისტის აზრით, მწვრთნელი კარგი სოვდაგარიც უნდა იყოს: „მიმაჩნია, რომ მწვრთნელმა თვითონ უნდა ნახოს ის ფეხბურთელი საქმეში, რომლის შეძენაც სურს. გაუგებარია, რატომ ავალებენ ამ საქმეს სხვებს და ბრმად ენდობიან. გარდა ამისა, ფეხბურთელის ფასიც უნდა იცოდე და თუ მოგეწონება, ვაჭრობაც არაა სათაკილო."

აი, ის რამდენიმე ფეხბურთელიც, რომლებიც ვენგერის მწვრთნელობისას შეიძინეს: სილვენ ვილტორდი 13 მილიონი გირვანქა დაუჯდათ და მისი ამჟამინდელი ფასი დაახლოებით ორი მილიონით მეტია. ტიერი ანრის სანაცვლოდ 11 მილიონ ნახევარი გადაიხადეს და ანრის 20-ზე ნაკლებად არ გაყიდიან. რობერ პირესი 5 მილიონ 600 ათასად მიითვისეს, ახლა კი პირესის ფასი 23 მილიონს უკაკუნებს. ნიკოლა ანელკა სულ რაღაც 500 ათას გირვანქად ჩაიგდეს ხელში და მერე „რეალს" 23 მილიონად მიჰყიდეს. სოლ კემპბელი მუქთად გადაიყვანეს, რომელსაც ამჟამად 19 მილიონადაც არ შეელევიან — ასე რომ, ვენგერმა მხოლოდ საფეხბურთო იდეებით კი არა, ფულითაც გვარიანად გაამდიდრა „არსენალი" და ამიტომაც ელიან მოთმინებით ბოსები ჩემპიონთა ლიგაში გუნდის გამარჯვებას.

**მაჟა ხუციშვილი**

# უგოლო დიდები



REUTERS

რივერ პლეიტი —ველეს სარსფილდი. მარტინ დელ კამპოს სტუმარმა ვალტერ ალვარასმა გზა არ დაუთმო

## არგენტინა

### პლაუსურა

**მე-2 ტური:** ინდეპენდიენტე — ხიმნასია 0:3; ტალიერესი — ოლიმპო 0:2; როსარიო სენტრალი — ლანუსი 1:0; ურაკანი — ნიუელს ოლდ ბოიზი 1:1; არსენალი — რასინგი 0:1; რივერ პლეიტი — ველეს სარსფილდი 0:1; უნიონი — ბოკა ხუნიორსი 2:0; ჩაკარიტა ხუნიორსი — კოლონი 0:0; ესტუდიანტესი — ბანფილდი 2:0; ნუევა ჩიკაგო — სან ლორენსო 2:2

**ახალგახურებულ** არგენტინის კლაუსურას ორი ტურის თავზე სათავეში ჩაუდგნენ ოსვალდო არდილესის „რასინგ კლუბი" და „ველეს სარსფილდი". ორი ტურის თავზე მხოლოდ ამ ორ გუნდს აქვს ორ-ორი გამარჯვება.

გასულ უქმეებზე კი საოცარი ის მოხდა, რომ წააგეს დიადებმა, „ბოკა ხუნიორსმა" და „რივერ პლეიტმა" და ასევე წააგო მოქმედმა აპერტურა ჩემპიონმა „ინდეპენდიენტემ" და ამ სამთაგან გოლი ვერცერთმა ვერ გაიტანა.

„ინდეპენდიენტემ" შინ 0:3 წააგო „ხიმნასია ლა პლატასთან". რობერტო სოსამ, რომელმაც ლამის მთელი შარშანდელი სეზონი „ბოკას" რეზერვისტებში გაატარა, 17-ე წუთზე გახსნა ანგარიში. მეორე ტაიმში ხორხე სან ესტებანმა (პენალტით) და კლაუდიო ერნიამ მეორე ტაიმში თითო გოლი გაიტანეს და ახლა ჩემპიონი ორი თამაშიდან ორი წაგებით ბოლო ადგილზეა.

პროვინციული „უნიონის" ფეხბურთელმა პაბლო ისლასმა მეორე ტაიმის ოცხწუთიან მონაკვეთში ორჯერ გაუტანა „ბოკას", რომლისთვისაც ეს 0:2 პირველი მარცხია გუნდში მწვრთნელ კარლოს ბიანკის დაბრუნების შემდეგ.

მტკივნეულად, მსაჯის მიერ დამატებულ დროში წააგო „რივერმა" „ველეს სარსფილდთან". რობერტო ნანიმ 92-ე წუთზე გაიტანა. „რივერის" მწვრთნელი მანუელ პელეგრინი ისედაც დაწოლის ქვეშაა, რადგან გუნდი აპერტურაში მხოლოდ მესამე ადგილზე გავიდა, იანვრის ამხანაგურებში ვერ ივარგა და ლიბერტადორესის თასზეც აგებს.

„რასინგმა" კი დიეგო მილიტოს ერთი გოლით მოუგო სტუმრად „არსენალს".

### ონორიო გუსტოს დომეძი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რასინგი | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| ველესი | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| ხიმნასია | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| უნიონი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ოლიმპო | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| კოლონი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| როსარიო | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ბოკა ხუნიორსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ესტუდიანტესი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ლანუსი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| სან ლორენსო | 2 | 0 | 2 | 0 | 4:4 | 2 |
| ოლდ ბოიზი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| რივერ პლეიტი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| არსენალი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ურაკანი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ჩაკარიტა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ბანფილდი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| ნუევა ჩიკაგო | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| ტალიერესი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ინდეპენდიენტე | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |



REUTERS

მანუელ პელეგრინის ცუდი თვალით შეხედეს

# ძველი ბიჭები ეზოში

## რომარიოს ყატარში ელიან, გესქოინმა ჩინეთში ჰეთ თრიქით დაიწყო





**რომარიომ,** რომელმაც შარშან მაინც ვარგისიანი სეზონი გაატარა „ფლუმინენსეში", რომელთანაც პრივილეგირებული კონტრაქტი ჰქონდა, ახალ ქალაქდს მოაწერა ხელი.

ოღონდ კი ამ ქალაქდის მიხედვით, 37 წლის რომარიო აღარ არის „ფლუს" ფეხბურთელი და პაწაწინა არაბულ ქვეყანაში, ყატარში მიემგზავრება, სადაც სამი თვის განმავლობაში ითამაშებს „ალ სადის" შემადგენლობაში.

ამ სამ თვეში უბერებელი ბრაზილიელი მილიონ ორასიათას დოლარს მიიღებს.

„ჩვენ გვინდა, რომ ყატარის სხვა კლუბებმაც იყიდონ გამორჩენილი ფეხბურთელები, რათა ჩვენს ლიგაში ფეხბურთის დონე ამაღლდეს" — თქვა „ალ სადის" პრეს-მდივანმა მოჰამედ ლანემმა.

რომარიოს ამ კვირაში ელიან ყატარის დედაქალაქ დოჰაში. „ალ სადს" სურს, რომ ბრაზილიელი აზიის ჩემპიონთა ლიგის ტურნირში ჩართოს, რომელიც საამიროების ქალაქ ალ აინში გაიმართება 9-დან 15 მარტამდე.

ფეხბურთელს დეკემბრის ბოლომდე ჰქონია კონტრაქტი „ფლუმინენსესთან", მაგრამ კლუბს ხელი არ შეუშლია მისი არაბული განავარდებისთვის. რომარიოს განსაკუთრებული კონტრაქტი ჰქონდა „ფლუსთან", როცა უნდოდა, მაშინ ვარჯიშობდა, გასვლით თამაშებზე ცალკე დაიარებოდა და მაწრთობი ფერშალიც თავისი ჰყავდა.

მისგან „ფლუს" ბევრი თავისტკივილი ჰქონდა.

ამასობაში კი ჩინეთის ფეხბურთში პირველ ნაბიჯებს დგამს კიდევ ერთი მოხეტიალე ბერიკაცი. პოლ გესქოინს ბევრად ცოტა გასამრჯელო აქვს „განსუ ტიანმაში", სადაც მოთამაშე მწვრთნელის ხელობას ეუფლება, მაგრამ დაწყებით კი ჩინეთის მეორე დივიზიონის პირობაზე, ხმაურით დაიწყო. გაზამ საკუთარი თავი შეცვლაზე შეიყვანა „გუანჟოუ რუიკუანთან" ამხანაგურ მატჩში და ჰეთ თრიქიც ალასრულა (ერთი საჯარიმო დარტყმით გაიტანა), გაზას გუნდმა სწორედ 3:0 მოიგო, 35 წლის მწვრთნელმა კი თქვა, რომ როგორც იქნა, თამაშით ისიამოვნა.

**ირაკლი ბამყრელიძე**

## სამხრეთული დარდ[illegible]

*თებერვალი ის თვეა, როცა სამხრეთ ამერიკაში აპერტურები, კლაუსურები და მისთანა აბდაუბდა ჩემპიონატები იწყება, თუმცა როგორ იწყება, ეს სხვა საკითხია.*

# მსაჯები განსაჯეს

## იქით ამოგიღებთ წითელ ბარათს

მაგალითად, ეკვადორში წინა უქმეებზე პირველი ტურის მატჩები უნდა გამართულიყო. გუნდები მოემზადნენ, მასპინძლებმა სტადიონები მოაწესრიგეს, სტუმრებმა — ზოგმა ავტობუსის, ზოგმა თვითმფრინავის ბილეთები შეიძინეს, სასტუმროები დაჯავშნეს, ხალხი კი ბილეთებითა და აბონემენტებით შეიარაღდა. ფეხბურთსაც თითქოს მეტი რა უნდა. რა უნდა, ბატონებო და, მსაჯი. მაგრამ პარასკევს საღამოს, ტურის წინა დღეს, მსაჯები გაიფიცნენ და ფედერაციას ცალკე შარშანდელი ხელფასები მოსთხოვეს, ცალკე საამსეზონოდ ჯამაგირების 40 პროცენტით გაზრდა. ცნობისთვის: ეკვადორელი არბიტრი ერთ მატჩში 200 დოლარს იღებს.

ფედერაციას ფული რომ ჰქონოდა, შარშანდელ ვალებს გაისტუმრებდა. მაგრამ არ აქვს, ყოველ შემთხვევაში, ამბობს, უსახსრობით სულს ვღაფავო და ხელფასების გაზრდაზეც, ცხადია, უარს ამბობს. სამაგიეროდ, ფედერაციას აქვს ძალაუფლება, რომლის ძალითაც მსაჯებს დისკვალიფიკაციით ემუქრება. თუმც კი საინტერესოა, მსაჯები თუ მოკვეთა, თამაშებს ვინღა მოემსახურება? გაფიცვამ ცალკე პირველ ტურში სტუმრად მოთამაშე გუნდები გააბრაზა. აქაოდა, მგზავრობის და სასტუმროს ხარჯებს ვინ აგვინაზღაურებსო. მართლაც, ვინ?

იქ კი, სადაც მსაჯები არ იფიცებიან, მათ მალიმალ სცემენ. აი, ჩილეში, „პუერტო მონტისა" და „უნივერსიდად დე ჩილეს" მატჩისას, მსაჯმა მასპინძლები პენალტით დააჯილდოვა, რამაც სტუმართა ქომაგები განარისხა და ერთმა მათგანმა, არბიტრამდე რომ ვერ მიაღწია, თანამსაჯი გალახა. ჩვენთვის ნაცნობი ფეხბურთელებიდან, ამ შეხვედრაში ითამაშა ფაუსტინო ასპრილიამ და როგორც იუწყებიან, ძალიან კარგადაც. ასპრილია უნივერსიდადელია.

ამასობაში „კოლო კოლომ" 1:1 ითამაშა „უნივერსიდად კატოლიკასთან". ეს თამაში კი ამიტომ გამოვარჩიეთ: კოლოელთაგან გოლი ივან სამორანომ გაიტანა — ბოლო სამ მატჩში მეოთხე. და თუ გავითვალისწინებთ, რომ ევროპასა და მექსიკაში გატარებული 14 წლის მერე სამორანომ „კოლო კოლოში" სულ სამი თამაში ჩაატარა, გამოდის, რომ ახალ კლუბში ერთხელაც არ დაუტოვებია მოედანი უგოლოდ.

ნაცნობი ფეხბურთელებიდან ამ უქმეებზე ყველაზე უიღბლო ბებერი მეკარე რენე იგიტა გამოდგა. ის კოლუმბიურ „პერეირაში" აგვისტოდან თამაშობს, მაგრამ, ფაქტობრივად, არც თამაშობს. გადასვლისთანავე ის კოკაინის ყნოსვაში ამხილეს, რაზეც უკვე ვწერდით და ექვსი მატჩით მოკვეთეს. ახლა იგიტა „დეპორტივო კალისთან" შეხვედრაში გააძევეს სხვა ორ ფეხბურთელთან ერთად.

ლიბერტადორესის თასზე ფსონის ჩამსვლელთა საყურადღებოდ: ურუგვაულმა „ნასიონალმა" პირველ ტურში ფრედ, 1:1 ითამაშა უმაღლესი ლიგის დებიუტანტ „ტაკუარემბოსთან", თან მეტოქემ თამაში ცხრა კაცით ჩაამთავრა. „პენიაროლმა" კი 2:0 მოუგო „დეფენსორ სპორტინგს".

**კოტე კიკელია**

# ჰიცფელდის გამოჭენება

## ძვირი სიამოვნებაა

**მწვრთნელის** საჯარო კრიტიკისთვის მიუნხენის „ბაიერნს" არაერთი ფეხბურთელი დაუსჯია. რა თქმა უნდა, კუთხეში მარილზე მუხლებით არ დაუყენებიათ, მაგრამ გვარიანი ფულადი ჯარიმა ერთ მათგანსაც არ ასცდენია.

შესაძლოა, გერმანიის 2002 წლის საუკეთესო ფეხბურთელმა მიხაელ ბალაკმა მალე ჯიბეები მოქექოს და კლუბის სალაროს რამდენიმე ათასი მარკით შეეწიოს. მან ერთ-ერთ ინტერვიუში თავისი გულისნადები თქვა, ოტმარ ჰიცფელდის ტაქტიკური მონახაზები ჭკუაში არ მომდის ყოველი მატჩისთვის რაღაც უცნაური ვარჯიშებით გვტვირთავს და შეტევაში ხშირ ჩართვას მიზღუდავსო.

ბალაკს, მოგეხსენებათ, როგორი ჩარბენა-ჩაქროლვები უყვარს და შორიდანაც გემრიელად უბრახუნებს ბურთს. ფრთების შეკვეცას ვერ შეეგუა ფეხბურთელი და სათქმელიც თქვა.

ზემოთ ვთქვით, როგორც წესი, მწვრთნელის საჯაროდ კრიტიკა „ბაიერნში" ისჯება. ამ ამბავმაც ოტმარ ჰიცფელდის ყურებში გაისეირნა და მან პასუხი არ დააყოვნა: „ვერ ვაპატიებ, ჩემი საწვრთნელი პროცესი საქვეყნოდ გააქილიკოს და არც მისი რჩევადარიგება მჭირდება. ბალაკს ვპირდები, რომ იგი ზედმეტი ლაქლაქისთვის ჯარიმას საკუთარი ხელით გადაიხდის".

**გაგა ხუციშვილი**



მიხაელ ბალაკს პირის მოღება ძვირად დაუჯდა

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80





ტურინულმა დყა-დყამ რენცო ულივიერიც შეიწირა

# ძირს თანამედროვე ფეხბურთი!

## ტიფოზები რომში ომით იმუქრებიან

**„დელე ალპიზე“** მასობრივი ხულიგნობიდან ორ დღეში „ტორინოს“ თავკაცი, რენცო ულივიერი თანამდებობიდან მოხსნეს. შეგახსენებთ, ტურინში, „ტორინო“ „მილანთან“ 0:3-ს აგებდა, როდესაც მასპინძელთა შეურაცხყოფილი ქომაგები მოედანზე გადაცვივდნენ და პოლიციის რაზმს შეებნენ. „ტორინო“ სერია A-ს ცხრილში ბოლოსწინა ადგილზეა, რაც, ბუნებრივია, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, მწვრთნელს დაბრალდა, ან სულ არ დაბრალებია, ჯოხი მაინც მასზე გადატყდა. ახლა ულივიერის საქმეს კლუბში ახალგაზრდული გუნდის თავკაცად მომუშავენი, რენატო ძაკარელი და ჯაკომო ფერი გააგრძელებენ.

„ბოდიშს ვიხდი — აცხადებს განთავისუფლებული სპეციალისტი კლუბის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, — იმ ოთხი თვის მანძილზე, რაც „ტორინოში“ ვიმუშავე, დავრწმუნდი, რომ აქ რაიმეს გაკეთება შეუძლებელია. მონდომებით კი ისევე ვინდომებდი, როგორც კარიერის 40 წლის მანძილზე. მადლობას ვუხდი კლუბს, ქალაქს და ქომაგებს, რომელთაც ყველაფრის მათთან ერთად განცდის საშუალება მომცეს“.

62 წლის ულივიერი თანამდებობაზე ოქტომბერში, ჯანკარლო კამოლიეზეს ნაცვლად დაინიშნა, თუმცა ამით არაფერი გამოსწორებულა. „ტორინოს“ მიმდინარე სეზონში 22 შეხვედრიდან მხოლოდ ორი აქვს მოგებული.

ახლა კი იტალიის პარლამენტის ახალი კანონი გავიხსენოთ: მის თანახმად პოლიციას უფლება აქვს ამოცნობილი ხულიგნები ინციდენტიდან 36 საათის მერეც დააპატიმროს. და აი, კანონი ამოქმედდა. ტურინის პოლიციამ დააკავა ორი ადამიანი, ერთი 29 წლისა, ხოლო მეორე 25-ის.

ერთი სიტყვით, სახელმწიფო ხულიგან ქომაგებს ომს უცხადებს, ქომაგები კი პასუხად, ნუ გაიკვირვებთ და საოცარი, გააზრებული განცხადებებით გამოდიან. დაეთანხმებით თუ არა მეორე საქმეა, ფაქტი კი ის არის, რომ მათ საკითხს სულ სხვა მხრიდან მოუარეს. კერძოდ:

„ჩვენ ერთადერთი ხალხი ვართ, ვინც თანამედროვე ფეხბურთის წინააღმდეგ იბრძვის. ფეხბურთი ბოლო დროს ხომ მომგებიან ბიზნესად გადაიქცა და ასეთ ვითარებაში მხარდაჭერის მაგივრად კრიმინალებად გვაცხადებენ. მილიტარიზაცია მხოლოდ გააფუჭებს საქმეს. ერთადერთი გამოსავალი მოლაპარაკებებია. რაც უფრო ბევრ ჩვენგანს დააპატიმრებენ, მით მეტად აღშფოთდება ხალხი. ბოლო ხანს ინგლისურ მოდელზე ჩამოაგდეს სიტყვა. ინგლისში ძალადობა კი არა, თავად ფეხბურთის კულტურა აღმოფხვრეს. იცით თუ არა, რომ სულ რაღაც ორი თვის წინ, ინგლისში, გულშემატკივართა ჩხუბის დროს ერთი ადამიანი მოკლეს? ძალადობა გრძელდება, უბრალოდ ის სტადიონების ტერიტორიას გაარიდეს და ამიტომ ყურადღებას აღარ იქცევს. ჩვენში, თანამედროვე კორუმპირებული ფეხბურთის სიძულვილი იმდენად დიდია, რომ მან ისტორიულად გადამტერებული გუნდების ქომაგებს ერთიანი ორგანიზაციები ჩამოაყალიბებინა“ — განაცხადეს ქომაგებმა და მარტის ბოლოს, რომში, დიდ ხმაურს დაპირდნენ ქვეყანას. კერძოდ რა მოხდება, ჯერჯერობით უცნობია.

**პაპუნა ძედია**

### იტალია

**გასულ შაბათს** ტურინში მოხდა: „დელე ალპიზე“ „ტორინო“ „მილანს“ დაუხვდა. 64-ე წუთზე „ტორინოს“ (მეტსახელად „ხარები“) ქომაგები გაცოფდნენ, რადგან მათი გუნდი 0:3-ს აგებდა. ნგრევა-მტვრევას პოლიცია, ცრემლსადენი გაზი და მატჩის შეწყვეტა მოჰყვა.

ტურინში დატრიალებულმა ამბებმა, ცხადია, გაგრძელება იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტში, ფურცლებზე ჩაწიკწიკებულმა გადაინაცვლა, რასაც ვიდეომასალაც ახლდა. ფორი დაატრიალეს, მსაჯის დასკვნაც წაიკითხეს და ტურინის „ტორინოს“ 0:3 წაგება დაუმტკიცეს, რაც იმავდროულად „მილანის“ მოგებას ნიშნავს. გარდა ამისა, „ტორინოს“ მომდევნო ხუთი საშინაო მატჩის ჩასატარებლად გარეგარე სიარული მოუწევს. იმიტომ, რომ სტადიონს სწორედ 5-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიაწერეს. თუმც მომავალ ტურში „დელე ალპიზე“ ერთი შეხვედრა მაინც გაიმართება, „იუვენტუსი“ „ინტერს“ უმასპინძლებს, „დელე ალპი“ ხომ „იუვეს“ და „ტორინოს“ საზიარო სტადიონია.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 22 | 14 | 6 | 2 | 41:16 | 48 |
| ინტერი | 22 | 15 | 3 | 4 | 45:23 | 48 |
| მილანი | 22 | 14 | 4 | 4 | 41:16 | 46 |
| ლაციო | 22 | 10 | 10 | 2 | 37:21 | 40 |
| კიევო | 22 | 11 | 4 | 7 | 31:21 | 37 |
| უდინეზე | 22 | 10 | 6 | 6 | 23:21 | 36 |
| პარმა | 22 | 9 | 7 | 6 | 38:27 | 34 |
| ბოლონია | 22 | 8 | 7 | 7 | 27:25 | 31 |
| პერუჯა | 22 | 8 | 5 | 9 | 27:29 | 29 |
| რომა | 22 | 7 | 7 | 8 | 33:31 | 28 |
| ბრეშა | 22 | 6 | 9 | 7 | 26:29 | 27 |
| მოდენა | 22 | 7 | 4 | 11 | 16:30 | 25 |
| ემპოლი | 22 | 6 | 6 | 10 | 25:31 | 24 |
| ატალანტა | 22 | 5 | 8 | 9 | 23:32 | 23 |
| რეჯინა | 22 | 6 | 4 | 12 | 23:39 | 22 |
| პიაჩენცა | 22 | 4 | 4 | 14 | 20:38 | 16 |
| ტორინო | 22 | 2 | 7 | 13 | 13:39 | 13 |
| კომო | 22 | 1 | 9 | 12 | 15:36 | 12 |

# აგენტის საქმე ყველაფრის ცოდნაა

## ბარსელონას ჰოლანდიელები ლუის ვან გაალის ქვალში

ფრანკ დე ბური და ფილიპ კოკუ „ბარსელონადან“ რამდენიმე თვეში წავლენო — განაცხადა ჰოლანდიელთა აგენტმა რობ იენსენმა ჰოლანდიის ეროვნული რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში. რამდენიმე თვე კი, ადვილი გამოსათვლელია, სეზონის ბოლოს ნიშნავს.

„ბარსელონაში“ ვითარება ყოველდღიურად იცვლება — დასძინა იენსენმა — ამიტომ ფეხბურთელებს ძალიან უჭირთ კლუბის მიზნების გამოცნობა. ეს კი, თავის მხრივ, დაბნეულობასა და შეშფოთებას იწვევს. დე ბურს და კოკუს ამგვარ პირობებში მუშაობა აღარ სურთ და ალბათ მათთვის ახალი კლუბების პოვნა მომიწევს“.

ცხადია, რომ მენეჯერის ამგვარ განცხადებას, გინდ ტყუილი იყოს და გინდ მართალი, უეჭველად უნდა მოჰყოლოდა „ბარსელონადან“ წასვლის მსურველთა სავარაუდო ნავსაყუდელებზე ლაპარაკი. პოდა, ითქვა, რომ ფრანკ დე ბურს მისი ძველი კლუბი, ამსტერდამის „აიაქსი“ ეპატიჟება, ხოლო ფილიპ კოკუსთვის „აიაქსის“ მოსისხლე მტრის, „პსვ ეინდჰოვენის“ პრეზიდენტ ჰარი ვან რააის დაუდგამს თვალი.

უშუალოდ ამ საქმეს არ ეხება, მაგრამ სიტყვამ მოიტანა და აღვნიშნოთ, რომ თუ დე ბურმა მომავალ თვეში, 29 მარტს, ჩეხეთის ნაკრების წინააღმდეგ ითამაშა, 100 სანაკრებო კეპის დამგროვებელი პირველი ჰოლანდიელი ფეხბურთელი შეიქნება.

„ჩემი კლიენტების სამშობლოში დაბრუნების თაობაზე ხმები, ჭორებია — განაგრძო იენსენმა — ყოველ შემთხვევაში, მათით „აიაქსისა“ და პსვ-ს დაინტერესებაზე მე არაფერი მსმენია, არადა, როგორც ფეხბურთელთა აგენტი, პირველი უნდა ვიგებდე ამას. სინამდვილეში ორივე ფეხბურთელით ინგლისში დაინტერესდნენ, ოღონდ არანაირი მოლაპარაკება ამ დროისთვის არ დაგვიწყია. დე ბურის და კოკუს „ბარსელონადან“ წასვლის საკითხი საბოლოოდ მარტში გაირკვევა და ახალ კლუბებთანაც მერე დავიწყებთ საუბარს“.

**გიორგი დარჯანია**



ფილიპ კოკუს (მარჯვნივ) „ბარსელონაში“ გული აღარ უდგება



ხავიერ პორტილიო

# პორტილიოს სპორტლოტო

## ერთი ოცდახუთიდან

**„რეალის“** ყმაწვილმა ფორვარდმა ხავიერ პორტილიომ შარშან ათენში აეკის კარში გატანილი ბრწყინვალე გოლით ბევრს დაამახსოვრა თავი. პორტილიო 21 წლისაა და იგი მადრიდის „რეალის“ სათადარიგოთა გუნდში თამაშობდა. მან იმდენი გოლი გაიტანა, რომ ვისენტე დელ ბოსკემ ძირითადში სათამაშოდ უხმო. გასულ ტურში „ვალიადოლიდთან“ პორტილიო სამეფო კლუბს გოლით შეეწია და ამიტომაც ესპანური „მარკა“ ფეხბურთელს შეეხმიანა.

**— როგორ შეეგუეთ მთავარ გუნდს?**

— ვცდილობ, მცირედი შანსიც გამოვიყენო, ვითამაშო ის, რაც მისწავლია, ხოლო გოლს თუ გავიტან, მით უკეთესი ჩემი მომავლისთვის.

**— ზოგჯერ განაცხადშიც ვერ ხვდებით.**

— როცა ჩემს გვარს განაცხადში ვერ ვხედავ, მწყინს, რადგან ყოველთვის „რეალში“ თამაშზე ვოცნებობდი. თუმც ყურების ჩამოყრას არ ვაპირებ, გამუდმებით ვმუშაობ საკუთარ თავზე. რა თქმა უნდა, ეს იოლი არაა, „რეალი“ ხომ ვარსკვლავებითაა გადაჭედილი.

**— იანვარში მადრიდიდან წასვლაზე არ გიფიქრიათ?**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 21.30 | 2701 | ბეშიქთაში-სლავია | 1,8 | 1,8 |
| 22.00 | 2702 | აეკ-მალაგა | 1,7 | 1,9 |
| 22.30 | 2703 | შტუტგარტი-სელტიკი | 2,9 | 1.25 |
| 23.00 | 2704 | დენიზლი-პორტუ | 99,0 | — |
| 23.30 | 2705 | ანდერლეხტი-პანათინაიკოსი | 6.0 | 1,05 |
| 23.45 | 2706 | ვისლა-ლაციო | 1,5 | 2.1 |
| 00.05 | 2707 | ლივერპული-ოსერი | 1,03 | 5,6 |
| 00.30 | 2708 | ბოავიშტა-ჰერტა | 2,2 | 1,5 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **I ტაიმის შედეგი** | | | | | | |
| | | **26 თებერვალი** | | | | | | |
| 23.45 | 2005 | ინტერი-ბარსელონა | 2,4 | 2,1 | 4,2 | 1,12 | 1,52 | 1,4 |
| 23.45 | 2006 | ნიუკასლი-ლევერკუზენი | 1.65 | 2.6 | 6,5 | 1 | 1.31 | 1,85 |
| 23.45 | 2007 | აიაქსი-არსენალი | 3.4 | 2.1 | 2.8 | 1,29 | 1,53 | 1,19 |
| 23.45 | 2008 | ვალენსია-რომა | 2.0 | 2.15 | 6,0 | 1,03 | 1.5 | 1,58 |
| | | **27 თებერვალი** | | | | | | |
| 21.30 | 2009 | ბეშიქთაში-სლავია | 2,1 | 2.15 | 5,3 | 1.06 | 1.5 | 1,52 |
| 22.00 | 2010 | აეკ-მალაგა | 2.5 | 2.05 | 4.0 | 1,12 | 1,53 | 1,35 |
| 22.30 | 2011 | შტუტგარტი-სელტიკი | 2.4 | 2.05 | 4,4 | 1,1 | 1,55 | 1,39 |
| 23.00 | 2012 | დენიზლი-პორტუ | 2,7 | 2,1 | 3,5 | 1,18 | 1,52 | 1,31 |
| 23.30 | 2013 | ანდერლეხტი-პანათინაიკოსი | 2,35 | 2,1 | 4,4 | 1,1 | 1,53 | 1,42 |
| 23.45 | 2014 | ვისლა-ლაციო | 3.4 | 2,1 | 2.8 | 1.29 | 1,53 | 1,19 |
| 00.05 | 2015 | ლივერპული-ოსერი | 2,1 | 2,1 | 5.6 | 1.04 | 1,52 | 1,52 |
| 00.30 | 2016 | ბოავიშტა-ჰერტა | 2.8 | 2,1 | 3,4 | 1,19 | 1,53 | 1.29 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **26 თებერვალი** | | |
| 23.45 | 2305 | ინტერი-ბარსელონა | 1,65 | 1,95 |
| 23.45 | 2306 | ნიუკასლი-ლევერკუზენი | 1,7 | 1,9 |
| 23.45 | 2307 | აიაქსი-არსენალი | 1.7 | 1.9 |
| 23.45 | 2308 | ვალენსია-რომა | 1,75 | 1.85 |
| | | **27 თებერვალი** | | |
| 21.30 | 2309 | ბეშიქთაში-სლავია | 1,7 | 1,9 |
| 22.00 | 2310 | აეკ-მალაგა | 1,7 | 1.9 |
| 22.30 | 2311 | შტუტგარტი-სელტიკი | 1,7 | 1.9 |
| 23.00 | 2312 | დენიზლი-პორტუ | 1,65 | 1,95 |
| 23.30 | 2313 | ანდერლეხტი-პანათინაიკოსი | 1,7 | 1,9 |
| 23.45 | 2314 | ვისლა-ლაციო | 1,6 | 2.0 |
| 00.05 | 2315 | ლივერპული-ოსერი | 1,75 | 1,85 |
| 00.30 | 2316 | ბოავიშტა-ჰერტა | 1,7 | 1,9 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **26 თებერვალი** | | |
| 23.45 | 2205 | ინტერი-ბარსელონა | 1,85 | 1,75 |
| 23.45 | 2206 | ნიუკასლი-ლევერკუზენი | 2.0 | 1,6 |
| 23.45 | 2207 | აიაქსი-არსენალი | 1.9 | 1,7 |
| 23.45 | 2208 | ვალენსია-რომა | 1,8 | 1.8 |
| | | **27 თებერვალი** | | |
| 21.30 | 2209 | ბეშიქთაში-სლავია | 1,8 | 1,8 |
| 22.00 | 2210 | აეკ-მალაგა | 1,8 | 1,8 |
| 22.30 | 2211 | შტუტგარტი-სელტიკი | 1,9 | 1,7 |
| 23.00 | 2212 | დენიზლი-პორტუ | 1,9 | 1,7 |
| 23.30 | 2213 | ანდერლეხტი-პანათინაიკოსი | 1,85 | 1,75 |
| 23.45 | 2214 | ვისლა-ლაციო | 1,9 | 1,7 |
| 00.05 | 2215 | ლივერპული-ოსერი | 1,8 | 1,8 |
| 00.30 | 2216 | ბოავიშტა-ჰერტა | 1,9 | 1,7 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **26 თებერვალი** | | |
| 23.45 | 2405 | ინტერი-ბარსელონა | 1,7 | 2,2 |
| 23.45 | 2406 | ნიუკასლი-ლევერკუზენი | 1,3 | 3,4 |
| 23.45 | 2407 | აიაქსი-არსენალი | 2,0 | 1,8 |
| 23.45 | 2408 | ვალენსია-რომა | 1,5 | 2,6 |
| | | **27 თებერვალი** | | |
| 21.30 | 2409 | ბეშიქთაში-სლავია | 1,5 | 2,6 |
| 22.00 | 2410 | აეკ-მალაგა | 1,75 | 2,1 |
| 22.30 | 2411 | შტუტგარტი-სელტიკი | 1,7 | 2,2 |
| 23.00 | 2412 | დენიზლი-პორტუ | 1.8 | 2,0 |
| 23.30 | 2413 | ანდერლეხტი-პანათინაიკოსი | 1.7 | 2,2 |
| 23.45 | 2414 | ვისლა-ლაციო | 2.0 | 1,8 |
| 00.05 | 2415 | ლივერპული-ოსერი | 1,5 | 2.6 |
| 00.30 | 2416 | ბოავიშტა-ჰერტა | 1,85 | 1,95 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **26 თებერვალი** | | | |
| 23.45 | 2505 | ინტერი-ბარსელონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2506 | ნიუკასლი-ლევერკუზენი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2507 | აიაქსი-არსენალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2508 | ვალენსია-რომა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **27 თებერვალი** | | | |
| 21.30 | 2509 | ბეშიქთაში-სლავია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.00 | 2510 | აეკ-მალაგა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.30 | 2511 | შტუტგარტი-სელტიკი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.00 | 2512 | დენიზლი-პორტუ | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2513 | ანდერლეხტი-პანათინაიკოსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2514 | ვისლა-ლაციო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 00.05 | 2515 | ლივერპული-ოსერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 00.30 | 2516 | ბოავიშტა-ჰერტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# ჩემპიონობა და თასის აღება

**უეფას თასი**
**27 თებერვალი (21.15)**

| | | |
|---|---|---|
| 022 | ლივერპული | 3,0 |
| 021 | ლაციო | 5,0 |
| 024 | პორტუ | 7,0 |
| 025 | სელტიკი | 7,0 |
| 023 | ჰერტა | 8,0 |
| 026 | მალაგა | 10,0 |
| 027 | პანათინაიკოსი | 12,0 |
| 029 | შტუტგარტი | 15.0 |
| 031 | აეკ | 15.0 |
| 032 | ბეშიქთაში | 20,0 |
| 033 | სლავია | 30,0 |
| 036 | ვისლა | 30,0 |
| 034 | ბოავიშტა | 30,0 |
| 028 | ოსერი | 40,0 |
| 030 | ანდერლეხტი | 50,0 |
| 035 | დენიზლი | 999.0 |
| 089 | ბორდო | 7,0 |
| 086 | ნიცა | 9,0 |
| 087 | ლანსი | 10,0 |
| 088 | ნანტი | 10,0 |
| 085 | პსჟ | 12,0 |

**ინგლისი. პრემიერლიგა**
**1 მარტი (16.30)**

| | | |
|---|---|---|
| 051 | არსენალი | 1,25 |
| 052 | მანჩესტერი | 3,2 |
| 055 | ნიუკასლი | 10,0 |

**იტალია. სერია A**
**1 მარტი (21.00)**

| | | |
|---|---|---|
| 061 | მილანი | 2,4 |
| 062 | ინტერი | 2,5 |
| 063 | იუვენტუსი | 2,5 |
| 064 | ლაციო | 10,0 |

**ესპანეთი. I დივიზიონი**
**1 მარტი (22.00)**

| | | |
|---|---|---|
| 071 | რეალი | 1,35 |
| 072 | სოსიედადი | 2.5 |
| 073 | ვალენსია | 3,6 |
| 074 | დეპორტივო | 9,0 |
| 075 | სელტა | 50,0 |
| 076 | ბეტისი | 50,0 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი**
**28 თებერვალი 23.30**

| | | |
|---|---|---|
| 082 | ლიონი | 2,8 |
| 081 | მარსელი | 2.8 |
| 083 | მონაკო | 2,8 |
| 084 | ოსერი | 4.4 |

**ჰოლანდია. I დივიზიონი**
**1 მარტი (22.30)**

| | | |
|---|---|---|
| 101 | პსვ | 1,2 |
| 102 | აიაქსი | 3,2 |

**საბერძნეთი. I დივიზიონი**
**1 მარტი (18.00)**

| | | |
|---|---|---|
| 121 | ოლიმპიაკოსი | 1,6 |
| 122 | პანათინაიკოსი | 1,8 |
| 123 | პაოკ | 10,0 |
| 124 | აეკ | 12,0 |

**ჩეხეთი.**
**1 მარტი (17.25)**

| | | |
|---|---|---|
| 191 | სპარტა | 1,3 |
| 192 | სლავია | 2,5 |

**პოლონეთი**
**7 მარტი (23.00)**

| | | |
|---|---|---|
| 196 | ვისლა | 1,25 |
| 197 | ლეგია | 3,0 |
| 198 | კატოვიცე | 5,0 |
| 199 | ოდრა | 8,0 |

**თურქეთი. I ლიგა**
**28 თებერვალი (22.00)**

| | | |
|---|---|---|
| 131 | გალათასარაი | 2,3 |
| 132 | ბეშიქთაში | 1,4 |
| 133 | ფენერბაჩე | 10,0 |

**შოტლანდია**
**პრემიერლიგა**
**2 მარტი (19.00)**

| | | |
|---|---|---|
| 141 | რეინჯერსი | 1,45 |
| 142 | სელტიკი | 2,2 |

**დანია. სუპერლიგა**
**16 მარტი (18.00)**

| | | |
|---|---|---|
| 151 | კოპენჰაგენი | 1,05 |
| 152 | ბრიონდბიუ | 4,0 |
| 153 | ოლბორგი | 10,0 |

**შვეიცარია. A ლიგა**
**1 მარტი (20.30)**

| | | |
|---|---|---|
| 161 | ბაზელი | 1,6 |
| 162 | გრასჰოპერი | 2,0 |

**რომელი ქვეყნის კლუბი აიღებს ჩემპიონთა თასს**
**25 თებერვალი (21.00)**

| | | |
|---|---|---|
| 181 | ესპანეთი | 2,0 |
| 182 | ინგლისი | 2,5 |
| 183 | იტალია | 2,5 |
| 184 | გერმანია | 20,0 |

**ჰოკეი. NHL**
**სტენლის თასი**
**1 მარტი (24.00)**

| | | |
|---|---|---|
| 201 | დეტროიტი | 3,5 |
| 202 | დალასი | 4,0 |
| 203 | ფილადელფია | 5,0 |
| 204 | ბოსტონი | 6,0 |
| 205 | ნიუ ჯერსი | 7,0 |
| 206 | კოლორადო | 8,0 |
| 207 | ოტავა | 8,0 |
| 208 | ვანკუვერი | 12,0 |
| 209 | სენტ ლუისი | 12,0 |
| 210 | ტამპა ბეი | 15,0 |
| 211 | მინესოტა | 15,0 |
| 212 | ტორონტო | 20,0 |
| 213 | კაროლინა | 20,0 |
| 214 | ლოს ანჯელესი | 20,0 |
| 215 | ვაშინგტონი | 30,0 |
| 216 | სან ხოსე | 30,0 |
| 217 | მონრეალი | 40,0 |
| 218 | ანაჰაიმი | 50,0 |
| 219 | პიტსბურგი | 50,0 |
| 220 | ჩიკაგო | 50,0 |
| 221 | ედმონტონი | 50,0 |
| 222 | რეინჯერსი | 100,0 |
| 223 | ფლორიდა | 150.0 |
| 224 | აილენდერსი | 150,0 |
| 225 | ფინიქსი | 200,0 |
| 226 | კოლუმბუსი | 200,0 |
| 227 | კალგარი | 300,0 |
| 228 | ბუფალო | 300,0 |
| 229 | ატლანტა | 500.0 |
| 230 | ნეშვილი | 500,0 |

**კალათბურთი. NBA. თასი**
**1 მარტი (24.00)**

| | | |
|---|---|---|
| 231 | დალასი | 3,0 |
| 232 | საკრამენტო | 3,0 |
| 233 | ლეიკერსი | 4,0 |
| 234 | ნიუ ჯერსი | 10,0 |
| 235 | ინდიანა | 10,0 |
| 236 | სან ანტონიო | 10,0 |
| 237 | ფილადელფია | 15,0 |
| 238 | ბოსტონი | 15,0 |
| 239 | ორლანდო | 25,0 |
| 240 | ნიუ ორლეანი | 25,0 |
| 241 | დეტროიტი | 25,0 |
| 242 | პორტლენდი | 35,0 |
| 243 | ჰიუსტონი | 35,0 |
| 244 | მინესოტა | 50,0 |
| 245 | სიეტლი | 50,0 |
| 246 | ფინიქსი | 75,0 |
| 247 | მილუოკი | 75,0 |
| 248 | იუტა | 75,0 |
| 249 | ატლანტა | 100,0 |
| 250 | ვაშინგტონი | 100,0 |
| 251 | ტორონტო | 150,0 |
| 252 | ნიუ იორკი | 150,0 |
| 253 | კლიპერსი | 150,0 |
| 254 | მაიამი | 200,0 |
| 255 | ჩიკაგო | 500,0 |
| 256 | გოლდენ სტ. | 999,0 |
| 257 | მემფისი | 999,0 |
| 258 | დენვერი | 999,0 |
| 259 | კლივლენდი | 999.0 |

**კალათბურთი. ევროლიგა**
**26 თებერვალი (21.00)**

| | | |
|---|---|---|
| 261 | ბარსელონა | 2,4 |
| 262 | ბენეტონი | 2,5 |
| 264 | ცსკა | 4,0 |
| 263 | პანათინაიკოსი | 6,0 |
| 265 | ტაუ | 10,0 |
| 268 | ოლიმპიაკოსი | 20,0 |
| 269 | მაკაბი | 20,0 |
| 270 | ოლიმპია | 20,0 |
| 271 | უნიკახა | 20,0 |
| 272 | ეფესი | 20,0 |
| 273 | სკიპერი | 20,0 |
| 274 | სიენა | 20,0 |
| 275 | ულქერი | 20,0 |
| 266 | კინდერი | 30,0 |
| 276 | ციბონა | 50,0 |
| 277 | ვილერბანი | 50,0 |


სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, მას კროკო არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.


### კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ერთენულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ქავთარაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა № 13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ª კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა №16 | ტელეკომპანია „რიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა № 27 | |
| | ქავთარაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი № 11 | წმინდანების დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გ. მზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

# ფაქტი: მესინა მარკოიშვილს ენდობა
## არგუმენტი: მოედანზე მაშინ გაიყვანა, როცა ბენეტონი 6 ქულას აგებდა

*მანუჩარ მარკოიშვილის „ბენეტონმა" შაბათს იტალიის თასი აღმართა. ეს ტრევიზოელთა მეორე სამსეზონო ტიტულია, სამიოდე თვის წინ „ბენეტონმა" იტალიის სუპერთასი მოიგო. სასუპერთასო მატჩში მარკოიშვილს არ უთამაშია. იმ პერიოდში ქართველისთვის რთული დასაძლევი იყო „ბენეტონის" არაევროკავშირელთა კონკურენცია და ლიმიტირებული რაოდენობის უცხოელს შორისაც ვერ ხვდებოდა, ახლა კი მანუჩარი ძირითადში გაუშინაურდა, მწვრთნელმა ეტორე მესინამ იტალიის თასის გადამწყვეტ მატჩებში ჩვენებურს ძირითად შემადგენლობაში მიუჩინა ადგილი და მარკოიშვილმაც თავისი წვლილი შეიტანა „ბენეტონის" წარმატებაში...*



— იტალიის თასის ნახევარფინალი და ფინალი ვითამაშე, მწვრთნელმა ძირითადში უნგრელ იშტვან ნემეტის ნაცვლად დამაყენა.

**— სათასო მატჩები მოჰყვა ევროლიგაში აეკ-თან შეხვედრას, რომელიც არცთუ ურიგოდ ჩაატარე. როგორ ფიქრობ, ამან ხომ არ განაპირობა შენი ძირითადში გამოჩენა?**

— არ ვიცი, შესაძლოა, ასეც იყოს. აეკ-თან თავი არ შემირცხვენია, მწვრთნელის დავალება პირნათლად შევასრულე და ეგებ მესინამ ამიტომაც გადაწყვიტა მომდევნო მატჩებშიც ვეთამაშებინე.

**— ამ სეზონში „ბენეტონმა" უკვე მოასწრო ერთი თასის მოგება...**

— ის სუპერთასი იყო, რომელიც სეზონის დასაწყისში მოვიგეთ. ამ ტიტულს ეცილებიან იტალიის ჩემპიონი და თასის მფლობელი. შარშან თასი „კინდერმა" აიღო, „ბენეტონი" ჩემპიონი გახდა, სუპერთასი კი ჩვენ დაგვრჩა.

**— იმ მატჩში არ გითამაშია...**

— მაშინ „ბენეტონში" ახალი ჩარიცხული ვიყავი და იშვიათად მათამაშებდნენ. ნაკლებ პრინციპულ მატჩებში მიწევდა მოედანზე გასვლა და „კინდერის" წინააღმდეგ არ მითამაშია.

**— სხვა ევროპული ქვეყნებისა არ იყოს, თასის გათამაშება იტალიაშიც ხანმოკლე ტურნირია...**

— ტურნირი დაახლოებით ერთ კვირას გაგრძელდა. მასში სერია A-ს რვა საუკეთესო გუნდი მონაწილეობდა. აქ ასეთი წესია, ოცი ტურის შემდეგ მოწინავე რვა ერთ ქალაქში იკრიბება და ქვეყნის თასისთვის თამაშობს. ამჯერად ტურნირი პროვინციულ ქალაქ ფორლიში მოეწყო.

**— გაგიძნელდათ თასის აღება?**

— ყველაზე დაძაბული ნახევარფინალი გამოდგა. ნეაპოლის „პოპმპეიმ" მედგარი წინააღმდეგობა გაგვიწია, მატჩის ბოლოს ძლივს გავტეხეთ.

**— შენთვის ეს მატჩი ყველაზე შედეგიანი იყო ამ ტურნირზე...**

— ჩემი თამაშით კმაყოფილი დავრჩი. არცთუ ბევრი, 8 წუთი დავყავი მოედანზე, შეცდომა არ დამიშვია, დაცვაშიც ყურადღებით ვიყავი და შეტევაშიც ვიხეირე. საბოლოოდ, 4 ქულა, რამდენიმე მოხსნა და შედეგიანი გადაცემა დამიგროვდა. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ მესინა გარდამტეხ ეპიზოდში მენდო, მაშინ გამიყვანა მოედანზე, „ბენეტონი" 6 ქულას რომ აგებდა. ჩემდა გასახარად, მდგომარეობა მალე გამოვასწორეთ და თამაშიდან რომ გამოვედი, ჩვენი გუნდი უკვე იგებდა.

**— ამ წარმატებას ალბათ სათანადოდაც აღნიშნავდით...**

— რა თქმა უნდა, ყველამ ძალიან გავიხარეთ, მაგრამ ემოციები დარბაზს არ გასცილებია. თასი გადმოგვცეს, მედლები ჩამოგვირიგეს და ეგ იყო, იმ საღამოდან ჩვეულ რეჟიმში გავაგრძელეთ ცხოვრება. ხვალ ევროლიგის მეორე ჯგუფური ეტაპი იწყება, ესპანურ „ტაუს" ვხვდებით და გუნდის ხელმძღვანელობა მოერიდა თასის აღების პომპეზურად აღნიშვნას, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს.

**ირაკლი პერტაია**

---

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ჩურჩხელები, ნაზუქები... ჩინურად
## ცაიმ იაო დაატაბო, იაომ ცაი ვერა

24 თებერვალი

**დენვერი 89:94 გოლდენ სტეიტი**
**დენვერი:** ჰარინგტონი (4), იარბრო (2), ბოუენი (10), ჰოვარდი (29), ილარიო (14); უილიამსი (5), კემბი (8), ვაიტი (2), ჰარვი, ცქიტიშვილი (10 წუთი, 4 ქულა, 2 მოხსნა)
**გოლდენ სტეიტი:** არენასი (9), რიჩარდსონი (5), მერფი (3), ჯემისონი (9), დამპიე (2); ჰოილი (11), მაილსი (14), ბოიკინსი (14), შურა (13), დანლივი (4)

**სიეტლი 86:79 დეტროიტი**
**სიეტლი:** ალენი (23), ლუისი (22)
**დეტროიტი:** ჰამილტონი (22)

**მილუოკი 114:117 მინესოტა**
**მილუოკი:** პეიტონი (21), რედი (19)
**მინესოტა:** გარნეტი (34 ქულა, 12 მოხსნა, 8 პასი), შჩერბიაკი (26)

**ბოსტონი 95:101 ჰიუსტონი**
**ბოსტონი:** პირსი (22), უოლკერი (22)
**ჰიუსტონი:** ფრენსისი (33 ქულა, 9 მოხსნა, 9 პასი), მობლი (31)

**ჩიკაგო 90:87 ფინიქსი**
**ჩიკაგო:** როუზი (21 ქულა, 15 მოხსნა)
**ფინიქსი:** სტუდემაიერი (19)

**მემფისი 103:92 იუტა**
**მემფისი:** პერსონი (27), რაიტი (17)
**იუტა:** მელოუნი (22), ჰარპრინგი (21)

„დენვერის" სამარცხვინო კომედია გრძელდება. ჯეფ ბზდელიკის გუნდმა გუშინწინ ზედიზედ მეცხრე (ამ სეზონში მისთვის სარეკორდო) მატჩი წააგო და უიღბლობის სერია კიდევ უფრო გაიგრძელა.

არადა, დენვერში საშუალო გაქანების „გოლდენ სტეიტი" ჩავიდა და მასპინძლებს საკუთარი ქომაგის თვალში, ამაღლების კარგი შანსი მიეცათ, რაც ვერ გამოიყენეს.

როგორც ხშირად ხდება, „დენვერმა" ყოჩაღად გალია საწყისი მეოთხედი, 5 ქულით დაწინაურდა, მაგრამ მოედანზე კალიფორნიელთა სამარქაფონი გამოჩნდნენ და მასპინძლებს შავი დღე აყარეს. ჯუჯა ერლ ბოიკინსი იქით მიეძალა მასპინძელთა ყოჩაღად მობურთალ ჰოვარდ-ილარიოს გოლიათ დუეტს, ასევე მომცრო ჯილბერტ არენასი კი მანამდეც მკვირცხლობდა ახლა ხომ სულ გადაირია. მათი მეცადინეობით ოკლენდელებმა იოლად დაათმობინეს უპირატესობა მასპინძლებს.

„მეორე მეოთხედი საშინელება იყო ჩვენი გუნდისთვის. აუარებელი შეცდომა დავუშვით, ბურთის ჩაგდება ხომ უდიდეს პრობლემად გვექცა. ყველაფერიც აქ გაირკვა, ჩვენ 45-ედ დავმარცხდით ამ სეზონში, რაც ძალიან გულსატკენი ამბავია" — ჩიოდა დენერელთა ახალბედა მწვრთნელი ჯეფ ბზდელიკი.

წახდენილი თამაშის მერე თავისი სიტყვის სათქმელად მოედანზე დენვერის სამარქაფონი გამოვიდნენ, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს. 10 წუთი ითამაშა ნიკა ცქიტიშვილმა, შეიდიდან ორი სროლა ჩააგდო და 4 ქულა მოაგროვა... „დენვერის" უიღბლობის სერია კი თანდათან დამამცირებელ იერს იღებს.

ამ თვის უცუდესი გუნდიდან თებერვლის უყოჩაღესზე გადავერთოთ და „მინესოტაზე" ვთქვათ, რომელმაც რეი ალენის წასვლით დასუსტებულ, იმავდროულად კი გერი პეიტონით გაძლიერებულ „მილუოკის" უხვქულია მატჩი მოუგო.

მინესოტელმა „მგლებმა" ბოლო 11 შეხვედრიდან 10 შემუსრეს და, მათ შორის, მილუოკელ „ხარირმებსაც" გაჰკრეს. მინესოტაში მძლავრი ხუთეული შეუკრავთ, რომელშიც გარნეტ-შჩერბაკის ტანდემი ბრწყინავს. „მილუოკისთან" შეხვედრაში ამ დუეტმა 60 ქულა მიაშველა თავის გუნდს, გადამწყვეტი ბურთებიც მათ ანგარიშზეა.

ექსსიეტლელი გერი პეიტონი პირველად თამაშობდა თავისი ახალი ქომაგების, მილუოკელების წინაშე და გულით ეწადა მოგება. ცხრა ოლსტარგამოვლილი პეიტონი 21 ქულით „ხარირემთაგან" საუკეთესო იყო, მაგრამ საერთო საქმეს ამან ვერ უშველა.

„პეიტონიანი „მილუოკი" უფრო აგრესიული, მობილიზებული და სახიფათოა. გერიმ მშვენივრად ითამაშა, მასზე აუგი ვერავის დასცდება. თუმც ჩვენი დაცვა დღეს შეუდარებელი იყო და მილუოკელთა გარჯაც ამაო გამოდგა" — შენიშნა მინესოტელთა ლიდერმა კევინ გარნეტმა.

პეიტონის „სიეტლში" შემცვლელმა რეი ალენმა კი გაიხარა. „ზებგერითებმა" აღმოსავლეთის უსტაბაში „დეტროიტი" ისტუმრეს და თავიანთი ახალწვეული ალენის მეოხებით დაჯაბნეს. „ძალიან ვნერვიულობდი. სიეტლელი ქომაგის წინაშე პირველად ვთამაშობდი და ურთულესი ამოცანა, გერი პეიტონის შეცვლა მევალებოდა. საბოლოოდ ყველაფერი კარგად დასრულდა. მგონი, უკმაყოფილო არავინ დამიტოვებია" — თქვა მატჩის შემდეგ სიეტლელთა შორის ყველაზე მეტი ქულის მიმთვლელმა რეი ალენმა.

სასეირო მატჩს უმასპინძლა ბოსტონმა, სადაც პირველად გამოჩნდა ჰიუსტონელი ახალბედა იაო მინგი და ამ ქალაქის ჩინური დიასპორის შეძლებული ნაწილი „ფლიტ სენთერის" დარბაზში მოაქუჩა. მატჩს დაესწრო ჩინეთის საელჩოს წარმომადგენელი, იაო მინგის მოგვარე ცაი, რომელმაც იაოს თამაშის დაწყებამდე ჩინური ტკბილეულით სავსე ხურჯინი გადასცა.

ტრიბუნებზე წითელი დროშები ლივლივებდნენ, იაო მინგი კი მოედანზე ფიტულივით იდგა. წოწოლა ჰიუსტონელმა სახეირო ვერაფერი უჩვენა თანამემამულეებს, „კელტები" საიმედოდ ჰკეტავდნენ მას. „იაოს წინაღმდეგ ასეთი ბანძური თამაში არასდროს მინახავს. ბოსტონელები მხოლოდ იმას ფიქრობდნენ, მინგისთვის გასაქანი არ მიეცათ, ეს კარგი გაკვეთილი იქნება ჩვენი ცენტრისთვის" — უკმაყოფილო იყო ჰიუსტონელთა თავკაცი რუდი ტომიანოვიჩი.

მინგის დოყლაპიობის მიუხედავად, „ჰიუსტონმა" მაინც იძალა, ტეხასელებმა თითქმის წაგებული თამაში შემოატრიალეს, რაც პირველ რიგში ოლსტარელ სტივ ფრენსისის დამსახურებაა. ბოლო მეოთხედში 68:83 ჩამორჩენილმა ჰიუსტონელებმა მატჩი ჯერ დამატებით დროში გადაიყვანეს, იქ კი ფერნსისის შეუპოვრობის წყალობით საამაყო მოგებაც მიითვალეს.

**ირაკლი პერტაია**



გოლიათ იაო მინგს „ჰიუსტონის" გამარჯვებაში კოლოს წილი მიუძღვის

REUTERS

# მაკალოფს შარკო, მარი და ტუტი დაესივნენ

**„ფილადელფია სიქსერზის"** ცენტრ ტოდ მაკალოფის კარიერას სერიოზული საფრთხე დაემუქრა — ამ ვეება კალათბურთელის ნერვები. ეგაა, მაკალოფი უჩივის არა ნერვების აშლილობას, არამედ მოშლილობას, ეს კი თურმე სხვადასხვა რამ ყოფილა.

211-სანტიმეტრიან ბუთხუზა კანადელ გოლიათს ამას წინათ ექიმებმა შარკო-მარი-ტუტის (ამ დაავადების აღმომჩენი სამეული) სინდრომი დაუდგინეს. დაავადება თურმე აზიანებს ადამიანის ნერვების დაბოლოებებს და შედეგად ხელებსა და ფეხებს უჭირთ ტვინის „ბრძანების" დროულად „დამუშავება" და შესრულება. დაავადებულს აგრეთვე უჭირს წონასწორობის დაცვა.

„ექიმებმა რომ გამსინჯეს, მითხრეს, ორი ამბავი გვაქვს შენთვის — კარგი და ცუდი. ცუდი ისაა, რომ შეიძლება საბოლოოდ გამოვეთხოვო კალათბურთს. რაც შეეხება კარგს, ეს მართლაც კარგია — ბევრ ადამიანს (მარტო შტატებში 170000 კაცს) სჭირს იგივე რამ, თუმცა ისინი განაგრძობენ თითქმის სრულფასოვან არსებობას, სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება" — ამბობს მაკალოფი. მან არც იცის, გაუხარდეს თუ არა. თუ ამ სენს არ უწამლა, გაუჭირდება კალათბურთის თამაში. ის ისედაც ზანტ მობურთალად ითვლებოდა და ახლა თუ ხელები არ გაუტოკდა, ქარცეცხლა თანაგუნდელ ალენ აივერსონის პასი იქნებ ცხვირშიც მოხვდეს, აივერსონის აცილებულ ბურთებისთვის ბრძოლაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.




REUTERS

გორან ივანიშევიჩის დაბრუნება და გაბრუნება ერთი იყო

# ივანიშევიჩი გაბრუნდა

**THE DUBAI OPEN CHAMPIONSHIPS**

ჰარდი. საპრიზო 1 მილიონი $

**პირველი წრე**

**ირჟი ნოვაკი (3, ჩეხეთი) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:1, 3:6, 6:3; იუნეს ელ აინაუი (7, მაროკო) — ომარ ბაჰრუზიანი (გაერთიანებული საამიროები) 6:0, 6:3; ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:7 (1:7), 6:2, 6:0; ანდრეი სტოლიაროვი (რუსეთი) — გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) 6:6 (ივანიშევიჩმა შეწყვიტა); ჰიშამ არაზი (მაროკო) — იან ვაჩეკი (ჩეხეთი) 6:2, 6:1; ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) — ვადიმ კუცენკო (უზბეკეთი) 7:6 (7:5), 6:2**

ვეტერან ხორვატ გორან ივანიშევიჩს მარტოკაცად უკვე თურთმეტი თვის განმავლობაში, შარშანდელი მაისიმობის შემდეგ აღარ ეთამაშა. ცვებ გახსოვლეთ — 31 წლის ყოფილმა მეუიმბლდონემ მხრის ოპერაცია გადაიტანა და დიდ კორტს მხოლოდ ორი კვირის წინ, ჭაბუკ თვისტომებთან ერთად ამერიკელ მეღვისეთა სარბევად დაუბრუნდა. იმ რბევისას ივან ლიუბიჩიჩთან შეწყვილებულმა გორანმა ჯეიმს ბლეიკისა და მარდი ფიშის ჯუფთს ხუთსეტიან განდაგანაში აჯობა.

ვაგლახ — კორტზე ჩალიბად (ანუ მარტოკაცად) დაბრუნება ხორვატთა ჯონქას ასეთივე წარმატებული ვერ გამოუდგა. თუმცა წარმატებას ვინ ჩივის, იმდღევანდელი თამაშის პირველი მოწოდებიდან 44 წუთის თავზე ივანიშევიჩმა მარჯვენა მუხლზედა მყესი გაიწყვიტა და ზეპურ მარაქაში გარევას კიდევ როდის შეძლებს, ეგ მხოლოდ მისმა დასტაქრებმა უწყიან...

სხვაფრივ — კაცურად გამეორწრევეს იმ დღეს გარჯილმა განთესილებმა (ელ აინაუიმა და ნოვაკმა) და შარშანდელმა ჩემპიონმა ფაბრის სანტორომ. ბელუინმა ელ აინაუიმ ლუბაელთა ჯილას, არმენიარაბ ბაჰრუზიანს გადაურბანა, წინა ორი ტურნირიდან პირველივე წრეებიდან ოტებულმა ნოვაკმა შარშანდლის დარად პირველ მატჩში ახლაც სლოვაკი ჰრბატი დაჩოგნა, ხოლო სანტორომ ავსტრიელ კუბეკს პირველი სეტი კი დაუთმო, მაგრამ წვიმით გამოწვეული პაუზა უკეთ შეირგო და ნაამჯღრალზე თავის უპირატესობაში უკვე აღარავინ დაუეჭვებია.

სხვა ბობოლები — როჯერ ფედერერი (1), მარატ საფინი (2), ტიმ ჰენმანი (4) და ევგენი კაფელნიკოვი (8) საქმეში მოგვიანებით ჩაერთვებიან.

**COPENHAGEN OPEN**

ჰარდი. საპრიზო 355 ათასი $

**პირველი წრე**

**ოლივიე როხუსი (ბელგია) — იარკო ნიემინენი (1, ფინეთი) 6:3, 6:2; კაროლ კუჩერა (3, სლოვაკეთი) — კრისტოფ ფლიგენი (ბელგია) 6:2, 6:3; რადეკ სტეპანეკი (4, ჩეხეთი) — არნო დი პასკუალი (საფრანგეთი) 7:6 (7:3), 3:6, 6:3; ლარს ბიურგსმიულერი (გერმანია) — იურგენ მელცერი (ავსტრია) 6:4, 6:4**

ეს ისე-რა ტურნირი მთავარგანთესილის წაფორხილებით დაიწყო. ფინელმა იარკო ნიემინენმა, ვისაც მთელი ჩრდილოევროპა სასოებით შესცქეროდა, ბელგიელ ოლივიე როხუსთან ჩაიფლავა. როხუსი მეორე წრეში შარშანდელ ჩემპიონს, გერმანელ ლარს ბიურგსმიულერს შეხვდება.

**STATE FARM WOMEN'S TENNIS CLASSIC**

სკოტსდეილი. ჰარდი

საპრიზო 585 ათასი $

**პირველი წრე**

**ჩანდა რუბინი (5, აშშ) — ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:3, 6:1; ელენი დანილიდუ (6, საბერძნეთი) — ვერა ზვონარევა (რუსეთი) 6:2, 6:3; ფრანჩესკა სკიავონე (იტალია) — ელენა ბოვინა (7, რუსეთი) 6:1, 6:4; ნატალი დეში (8, საფრანგეთი) — მირიანა ლუჩიჩი (ხორვატია) 3:6, 6:1, 6:0**

დღის უმთავრეს მოულოდნელობად იტალიელი სკიავონეს მიერ ხათქუნა რუსგოგოს, მეშვიდე ნომრად განთესილი ელენა ბოვინას გაგდება იქცა. ეგ მით უფრო, რომ სალუქი ლენა იტალიელს აქამდე სამჯერ შეხვედროდა და სამჯერვე გაეიმასქნებინა.

სხვაფრივ — იმ დღეს მოსარჯე დანარჩენი განთესილები მეორე წრეში ბითუმად შელაგდნენ და იქ ზეპურთა — შარშან ნაჩემპიონარი სერენა უილიამსის, კიმ კლაისტერსის, ლინდსი დევენპორტისა და ელენა დოკიჩის შეერთებას მოელიან. ჰოდა, მთავარ სალაპარაკოსაც სწორედ ნაამშერთებევს მოვიძევთ.

**ლევან ძელაურაძე**

# გადასახადი გადასახედია!

## კლაისტერსმა ლოყები გაბერა — გაიბუტა

*ბელგიელთა მთავარმეჩოგნე ქალის, კიმ კლაისტერსის მამა ლეომ ამ დღეებში ლამის ჩოგანზე დაიფიცა, რომ ის და მისი ქალიშვილი ამიერიდან ხმას აღარ გასცემენ იმ მასმედიელსასიტყვეთელებს, ვინაც ბოლო დროს „მათი ოჯახის წინააღმდეგ გაჩაღებულ ცილისმწამებლურ და შეურაცხმყოფელ კამპანიაში იმონაწილეა."*



ეს განცხადება ლეო კლაისტერსმა, ოლინდელმა ჩაუქმა ფეხბურთელმა და ქვეყნის მენაკრებემ, ბელგიის ეროვნული ინფოსააგენტოს, „ბელგას" მეშვეობით გაავრცელა.

მაინც რას უჩივიან მამალეო და მისი ღრანცულა გოგომეჩოგნე?

მოგახსენებთ:

ამ რამდენიმე თვის წინ კლაისტერსებმა ხმამაღლა დაიწყეს იმაზე საუბარი, რომ ბელგიაში მაღალი საშემოსავლო გადასახადებია და რომ კიმის მიერ ჩოგნის ქნევით, პატიოსნად ნაშოვნი ფულის ხორბა ნაწილს სახელმწიფო სტომაქი ისრუტავს. ოჯახის ავსტრალიაში გადასახლებისა და კიმის შესაძლო გაოზების რამე-რუმეძაც სწორედ მაშინ გაიჟღერა.

ამ ინფორმაციას ნოყიერი ნიადაგი დახვდა, რაკილა კიმი ავსტრალიელ ლეიტონ ჰიუიტს ჰყვარობს და მათი ადრე თუ გვიან შეუღლების შესახებ მიღეთში ისედაც ბევრს ლადაობენ ხოლმე.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, კლაისტერსთა მშობლიური რეგიონის, ფლანდრიის პრეზიდენტმა პატრიკ დეველმა მათი დახმარება გადაწყვიტა და სრულიად ბელგიის მახვშებს საგადასახადო ბორკილების მობოშებისაკენ მოუწოდა.

მოწოდებამ ვერ გაჭრა. როგორც ქვეყნის ფინანსთა მინისტრმა, დიდიე რეინდერმა განაცხადა, ერთი პიროვნებისთვის ბელგიაში კანონს ვერ შეცვლიან...

მთელ ამ მიწოდ-მოწოდებას მასმედია ცხოველი ინტერესით ადევნებდა თვალყურს და კლაისტერსთა გულსატკენმა სიტყვებმაც — ვაგლახ — მოსალოდნელზე ხშირადაც გაიჟღერა.

„ჩანს, ამ ნეხვის გაყიდვაზე ხელი ბევრმა მოითბო — ამბობს მამალეო — კეთილი, ეს მათი პრობლემაა და ღმერთმა შეარგოთ. ჩვენ კი ამ საზიზღრობაში მონაწილეობას აღარ მივიღებთ. მორჩა — ხმას მხოლოდ იმას გავცემთ, ვისაც არაფერი მიურთმევია".



NHL

**რეგულარული ჩემპიონატი**

# სატერების ოჯახის დრამა შვილის თვალწინ მამა...

— 24 თებერვალი —

**დეტროიტი 5:4 ლოს ანჯელესი** *1:0 3:2 1:2*

**1:0 ჰალი (16), 2:0 ლარიონოვი (21), 2:1 შნაიდერი (26), 3:1 მოლტბი (36), 4:1 ჰოლმსტრიომი (38), 4:2 ლაპერიე (40), 4:3 ბელანჟე (54), 5:3 ფიოდოროვი (57), 5:4 არმსტრონგი (58)**

აიზერმანი დაბრუნდა. თანამედროვე ნჰლ-ის ერთ-ერთმა გამორჩეულმა ვარსკვლავმა მუხლის მძიმე ტრავმა მოირჩინა და ამ სეზონში პირველად გავიდა ყინულზე. აიზერმანი ხელსაყრელ ვითარებაში დაბრუნდა, წინა მატჩებში მისმა თანაგუნდელებმა ყველაფერი გააკეთეს, კაპიტანი ხალისიანად რომ შესდგომოდა თამაშს. ბუნებრივია, „წითელფრთიანებს" ამ საშინაო მატჩში გამარჯვება გულით ეწადათ. შეძლეს კიდეც, მაგრამ თავადაც ინერვიულეს და ქომაგებიც გააწამეს. მათ იოლად მიაღწიეს სამშაიბიან უპირატესობას, თუმც მესამე პერიოდში ლამის ყველაფერი ქარს გაატანეს. ისევ ჩაფლავდა მათი დაცვა.

„გასართობი თამაში გამოდგა, მოვიგეთ კიდეც, მაგრამ მაინც, 5:4 ნაკლებად მისაღები ანგარიშია ჩვენთვის" — თქვა მატჩის შემდეგ „დეტროიტის" ახალდაბრუნებულმა კაპიტანმა. თავად მან ერთი ქულაც ვერ მოაგროვა, მაგრამ მისი დაბრუნება დეტროიტის დივიზიონში გაპირველებას დაემთხვა, რაც ერთობ მნიშვნელოვანია ჩემპიონისთვის. სხვა შემთხვევაში ხომ გუნდი პირველივე რაუნდში თავის მოსისხლე მტერს, კოლორადოს დაეჯახება.

**ვაშინგტონი 4:1 მონრეალი** *1:0 1:0 2:1*

**1:0 ჩერნიკი (10), 2:0 იაგრი (23), 3:0 ბონდრა (43), 3:1 ბულისი (53), 4:1 კონოვალჩუკი (55)**

„არხეინობის დრო წავიდა, ახლა ყველა დაცვას უნდა დაეხმაროს" — უეჭველად ამას ეტყოდა მატჩის წინ ვაშინგტონის თავკაცი ბრიუს კესიდი შეგირდებს. დაცვითი სისტემის მარჯვედ გამოყენების წყალობით გუნდმა დეკემბერ-იანვარში მკვეთრად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა, მაგრამ ვაშინგტონელები მერე მოეშვნენ და აი, შედეგიც — დივიზიონის ლიდერობა კი არა, პლეი ოფში გასვლაც სანატრელი გაუხდათ. ამ მატჩში კი თავკაცმა, ეტყობა, სათანადოდ განაწყო მოთამაშეები და თითოეულმა მათგანმა ბრწყინვალედ შეასრულა დავალება, არავინ იუკადრისა შავი სამუშაოს შესრულება. თვით ყოჩი ფორვარდები იარომირ იაგრი და პეტერ ბონდრაც კი დაუღალავად შრომობდნენ და დასაჩუქრდნენ კიდეც. თან ბონდრამ 8-მატჩიანი უგოლობაც შეწყვიტა.

**ფლორიდა 2:2 ბუფალო** *1:1 0:0 1:1 0:0*

**0:1 აფინოგენოვი (4), 1:1 იოკინენი (14), 1:2 შატანი (52), 2:2 ბედნარი (58)**

**სან ხოსე 5:2 კალგარი** *1:0 1:0 3:2*

**1:0 ბრედლი (5), 2:0 ნოლანი (32), 3:0 სელიანე (47), 4:0 დამფუსი (55), 4:1 ლოური (56), 5:1 სელიანე (58), 5:2 ნიკოლი (59)**

„მიმაჩნია, რომ პოტენციურად ეს გუნდი ლიგის საუკეთესო ოთხეულში შედის. ამიტომაც მაკვირვებს მისი დღევანდელი ადგილი" — დერილ სატერი დღესაც გაოცებულია. სან ხოსეში ხუთწლიანი მუშაობის შემდეგ მან თანდათან შექმნა ძლიერი გუნდი, რომელიც წლეულს, ბევრის აზრით, თასის ერთ-ერთი ფავორიტი უნდა გამხდარიყო, მაგრამ სუსტი სტარტის შემდეგ სატერს კარისკენ მიუთითეს და გაგდებულმა მწვრთნელმა კალგარის შეაფარა თავი... სან ხოსეს კი მისმა წასვლამ ვერ უშველა.

და მაინც ყოფილ გუნდთან პირველი შეხვედრა სატერის ახლანდელი გუნდისთვის სრულ კოშმარად იქცა. სან ხოსემ საუკეთესო ჰოკეი აჩვენა და ძველ თავკაცს სწორედ ის სიტყვები ათქმევინა, ზემოთ რომ მოვიტანეთ.

საინტერესოა, რომ თამაშს სატერის ვაჟი, კრისი ესწრებოდა, რომელსაც, როგორც ამბობენ, არასრულფასოვნების კომპლექსი სჭირს. სატერის ოჯახი ჯერაც სან ხოსეში ცხოვრობს, ამიტომაც კრისი მამის ახალ გუნდს პირველად შეხვდა. იგი მოთამაშეებს გასახდელშიც გაესაუბრა.

**სამველ ლარიბიანი**



REUTERS

მონრეალელმა გორდი დუაიერმა (მარცხნივ) და ვაშინგტონელმა სტივენ პიტმა ერთმანეთს ყბები დაუზილეს

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 63 | 39 | 7 | 1 | 16 | 203:138 | 86 |
| ნიუ ჯერსი | 61 | 37 | 4 | 4 | 16 | 160:123 | 82 |
| ვაშინგტონი | 64 | 29 | 7 | 3 | 25 | 177:172 | 68 |
| ტორონტო | 62 | 35 | 4 | 1 | 22 | 182:153 | 75 |
| ფილადელფია | 61 | 31 | 11 | 2 | 17 | 143:129 | 75 |
| აილენდერსი | 61 | 29 | 7 | 2 | 23 | 169:167 | 67 |
| ბოსტონი | 61 | 28 | 7 | 2 | 24 | 178:170 | 65 |
| ტამპა | 62 | 25 | 10 | 5 | 22 | 169:173 | 65 |
| მონრეალი | 64 | 24 | 7 | 7 | 26 | 162:186 | 62 |
| პიტსბურგი | 62 | 25 | 4 | 5 | 28 | 160:180 | 59 |
| რეინჯერსი | 65 | 25 | 7 | 2 | 31 | 168:197 | 59 |
| ფლორიდა | 62 | 19 | 12 | 9 | 22 | 148:182 | 59 |
| კაროლინა | 63 | 18 | 9 | 6 | 30 | 132:179 | 51 |
| ატლანტა | 60 | 20 | 5 | 4 | 31 | 160:212 | 49 |
| ბუფალო | 61 | 18 | 8 | 5 | 30 | 134:164 | 49 |

**დასავლეთის კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი | 62 | 35 | 14 | 1 | 12 | 186:120 | 85 |
| ვანკუვერი | 62 | 37 | 9 | 0 | 16 | 194:156 | 83 |
| დეტროიტი | 62 | 33 | 9 | 3 | 17 | 191:157 | 78 |
| სენტ ლუისი | 63 | 31 | 8 | 6 | 18 | 198:166 | 76 |
| კოლორადო | 61 | 29 | 11 | 6 | 15 | 179:150 | 75 |
| ანაჰაიმი | 62 | 29 | 8 | 4 | 21 | 154:150 | 70 |
| მინესოტა | 61 | 30 | 8 | 1 | 22 | 146:134 | 69 |
| ედმონტონი | 62 | 26 | 7 | 8 | 21 | 168:173 | 67 |
| ჩიკაგო | 62 | 24 | 10 | 3 | 25 | 148:150 | 61 |
| ლოს ანჯელესი | 62 | 26 | 4 | 4 | 28 | 161:172 | 60 |
| ნეშვილი | 61 | 23 | 9 | 4 | 25 | 144:156 | 59 |
| ფინიქსი | 61 | 23 | 8 | 4 | 26 | 153:165 | 58 |
| სან ხოსე | 62 | 23 | 6 | 5 | 28 | 169:181 | 57 |
| კოლუმბუსი | 61 | 22 | 6 | 2 | 31 | 160:195 | 52 |
| კალგარი | 64 | 19 | 10 | 4 | 31 | 140:186 | 52 |

შენიშვნა: *კონფერენციებში პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები არიან*





ათენის ოლიმპიადის ორგკომიტეტის შეფი, ქალბატონი იანა ანგელოპულოსი
სოკ-ის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა გვარიანად შეახურა

# ბერძნები ზორბად ზოზინობენ

## თქვენ ოლიმპიადის მასპინძლობა სირტაკის ცეკვა ხომ არ გგონიათ?!

**2004 წლის ოლიმპიურ** თამაშებს, კარგად მოგეხსენებათ, საბერძნეთის მთავარქალაქი ათენი უმასპინძლებს. ორიოდ წლის წინ ეს საკითხი დაზუსტებული არც იყო. მართალია, მსოფლიოს ოლიმპიურმა კომიტეტმა 2004 წლის თამაშების მასპინძლად სწორედ ათენი აირჩია და თან ბევრად ადრე, მაგრამ შერჩებოდათ თუ არა ბერძნებს ეს საპატიო უფლება, ეს თუნდაც 2000 წელს საკამათო თემად იქცა.

მაშინ ოლიმპიადისთვის ბერძნების უნიათო მზადებამ თვით ხუან ანტონიო სამარანჩიც კი შეაშფოთა. ოლიმპიური მოძრაობის ნიადაგ მშვიდი და გაწონასწორებული მეღროშე გვარიანად აღელდა და იძულებული გახდა, ბერძნებისთვის დაეცაცხანებინა — ან ხელი გაანძრიეთ, ან ოლიმპიადას ჩამოგართმევთო. შეფუცხუნებული ბერძნებიც დაფაცურდნენ და საქმეს საფუძვლიანად მოჰკიდეს ხელი. თუმცაღა ისინი მაინც ყოველთვის უფრო მეტს ლაპარაკობდნენ, ვიდრე აკეთებდნენ. ერთი სიტყვით, IOC-ს (საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი) მუდამ უჩნდნენ თავსატეხს. მათით უკმაყოფილო იყო სამარანჩი და ბერძნები ვერც IOC-ის ახალ პრეზიდენტ ჟაკ როგს ალაფრთოვანებენ.

2004 წელი ახლოვდება და როგი თანდათან ამცირებს ათენში ვიზიტებს შორის ვადებს. ის ამ ექვსი კვირის წინაც ჩავიდა საბერძნეთში და დადებითადაც შეაფასა წინასაოლიმპიადო სამუშაოები. როგმა ამ უქმეებზეც დახედა ათენს და ამჯერად აღარ მოხიბლულა.

„მდგომარეობა მეტად სერიოზულია. ამის შესახებ საბერძნეთის პრემიერ-მინისტრს ვაცნობე მე ექვსი კვირის წინაც გახლდით აქ და დადებითად შევაფასე გაწეული სამუშაოები ბევრ სფეროში, მაგრამ მას შემდეგ, ვხედავ, ბევრი რამ მკვდარი წერტილიდან არ დაძრულა. ორგანიზატორები ფეხს ითრევენ, აგვიანებენ არაერთი პრობლემის გადაჭრას. კერძოდ, უსაფრთხოების საკითხების მოგვარებას. წინა ვიზიტისას მითხრეს, რომ უნდა გამართულიყო ტენდერი, თუ რომელი სამსახური იკისრებდა უსაფრთხოების უზრუნველყოფას და ობიექტების დაცვას. მათი თქმით, ეს დღეების ამბავი იყო, მაგრამ საქმე ადგილიდანაც არ დაძრულა. ოლიმპიადამდე 18 თვე რჩება და წინ კიდევ უამრავი სამუშაოა ჩასატარებელი. მიჩნდება ეჭვი, რომ ამ ვადაში მათ გაუჭირდებათ ყველა სახის სამუშაოს დასრულება" — ამბობს როგი.

IOC-ის პრეზიდენტმა არ დაივიწყა ისიც, რომ ძალიან დუნედ მიმდინარეობს ოლიმპიური ნაგებობების მშენებლობა, მათ შორის საფეხბურთო მოედნისაც და გვიანდება საკომუნიკაციო სისტემების მშენებლობა-მოწესრიგება.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, უჯანჯლდებათ ათენელებს მშენელობა. როგის თქმით, სერიოზული ხელისშემშლელი ფაქტორია საბერძნეთის მძლავრი ბიუროკრატიული აპარატი, რომელიც აბრკოლებს გადაწყვეტილებების მიღებას და გვარიანად აფერხებს წინსვლას.

ზემოთაც ვთქვით, ბერძნების მიმართ არც თავისი დიპლომატიით განთქმული სამარანჩი გამოთქვამდა კმაყოფილებას და ეს სიტყვამოზომილი ესპანელი მარკიზი ხშირად რადიკალური სიტყვებით მიმართავდა ათენელებს. 2000 წელს ის ამბობდა: „არსებობს ოლიმპიადისთვის მზადების შესაფასებელი სამი ფერ-ნიშანი: მწვანე ნიშნავს, რომ ყველაფერი რიგიანად მიდის, ყვითლით ხარვეზები აღინიშნება, ხოლო წითელი ოლიმპიადის ჩაშლის საფრთხის მანიშნებელია. დღესდღეობით ბერძნების მუშაობა წითელში გარდამავალი ყვითელი ფერით შეფასდება."

როგის აზრი ბევრით არ განსხვავდება მისი წინამორბედისგან. IOC-ის პრეზიდენტი ღონივრად უციმციმებს ყვითელ შუქს ბერძნებს.

**ირაკლი ფირუზმილი**



# თქვენ ხართ ზოოპარკი!

## ამერიკის თასის გამო ხმელეთზე უფრო დიდი ღელვაა, ვიდრე ჰაურაკის ყურეში

**ამერიკის** თასის მეოთხე ეტაპი ერთხელაც უკვე მეოთხედ გადაიდო უამინდობის გამო. ახალი ზელანდიის წყლები მაინცდამაინც ახლა აზვირთებულა და მსოფლიოში უძველესი სპორტული დუელი შეუფერხებია. ღელავს საიალქნო შეჯიბრის აკვატორია, ოკლენდისპირა ყურე ჰაურაკი, ღელავენ შეჯიბრების მონაწილენიც, მეტადრე კი პრეტენდენტი შვეიცარიელები.

ამერიკის თასის ფინალი, რომელიც ჩემპიონ „ახალ ზელანდიასა" და შვეიცარიულ პრეტენდენტ იახტას „ალინგის" შორის თამაშდება, სავარაუდოდ, კიდევ სამი დღით გადაიდება, რაც კიდევ უფრო აღიზიანებს შვეიცარიელთა მღელვარებას. „ალინგი" 3:0 უგებს „ახალ ზელანდიას" და დარჩენილ ექვს რბოლაში ორი გამარჯვებაც ჰყოფნის, რათა ამ უპრესტიჟულესი საიალქნო თასის მფლობელი პირველი ევროპელი ნავი შეიქნას.

შვეიცარიელებს ორგანიზატორთა მიმართ პრეტენზიები აქვთ, რაკი თვლიან, რომ ამინდი სავსებით ხელსაყრელია ნაოსნობისთვის და რბოლა განზრახ ფერხდება. ახალზელანდიელებს, როგორც ჩემპიონებს, აქვთ უფლება, შეჯიბრის ორგანიზატორებს რბოლის გადადება მოსთხოვონ ავი დარის მოტივით და ისინი იყენებენ კიდეც ამ უფლებას, რაკი ანგარიშში 0:3 ჩამორჩენის შემდეგ აგონიიდან გამოვიდნენ და სურთ, უკეთ მოემზადონ შემდეგი ეტაპებისთვის.

შვეიცარიელების უკმაყოფილებას აძლიერებს რბოლის წესებიც, თურმე ნუ იტყვით და, არ არსებობს ნაოსნობისთვის ვარგისი ამინდის განსაზღვრის ზუსტი მონაცემები, ვთქვათ, ქარის სიჩქარე და ასე შემდეგ. რბოლის ხელმძღვანელი თავად წყვეტს გაიმართება თუ არა რბოლა, შვეიცარიელები კი თვლიან, რომ ეს ხელმძღვანელი, ჰაროლდ ბენეტი, როგორც თასის მფლობელ ახალზელანდიელთა თანამემამულე, მათ სასარგებლოდ წყვეტს საკითხს.

შვეიცარიელებმა ამინდის და ოკეანის დასაზვერად მომცრო ნავი გაგზავნეს, რომელიც უხიფათოდ დაბრუნდა და ამის გამო უფრო ხმამაღლა ატეხეს ყვირილი, ორგანიზატორები და უკვე დამარცხებული ჩემპიონები ერთმანეთს კოჭს უგორებენო. „ალინგის" მეპატრონემ, შვეიცარიელმა მილიონერმა ერნესტო ბერტარელიმ საშეჯიბრო შტაბს „ზოოპარკი" უწოდა. მან 55 მილიონი დახარჯა „ალინგის" (ცხადია, სპონსორთა დახმარებით) და ერთი სული აქვს, ამ იახტაზე როგორც ოფიციალურ ჩემპიონზე, შედგას ფეხი, რბოლა კი ჭიანურდება.



REUTERS ოტელენოდიან

რა ეტყობა ჰაურაკის ყურეს შტორმის

არადა, „ალინგი" პრაქტიკულად ჩემპიონია. შვეიცარიული ნავი ბევრად უკეთაა მომზადებული, ვიდრე „ახალი ზელანდია" და თან 3:0 იგებს კიდეც, ეს კი იმხელა სხვაობაა, რომ თასის გათამაშების 152-წლიან ისტორიაში ერთ ჩამორჩენილსაც არ დაუფარავს.

საარჩევნო კამპანიის ფონდში საარჩევნო სუბიექტის მიერ არჩევნებისათვის გამოყენებული სახსრების

ანგარიში

საარჩევნო ბლოკი "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს"
(არჩევნებში მონაწილე სუბიექტი)

| | |
|---|---|
| საარჩევნო კამპანიის ფონდის საბანკო რეკვიზიტები | ა/ა 360801044. ინდექსი. ბანკი ცენტრი |
| საარჩევნო კამპანიის ფონდის თარიღი | 19 აპრილი 2002 წ. |
| საარჩევნო კამპანიის ფონდის დახურვის თარიღი | 31 მაისი 2002 წ. |

| # | შემოსავლებისა და ხარჯების დასახელება | ხარჯების კოდი ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით | თანხა (ლარებში) |
|---|---|---|---|
| | შემოსავლები: | | |
| 1. | ფულადი სახსრები: | | |
| | ა) შემოწირულობანი | | 50 000 |
| | ბ) სხვა ფულადი სახსრები | | |
| 2. | უსასყიდლოდ მიღებული ყველა საქონელი და მომსახურეობა (საბაზრო ფასებით) | | 15 500 |
| | სულ შემოსავლები | | 65 500 |
| | ხარჯები | | |
| 1. | შრომის ანაზღაურება | 010100 | 130 |
| 2. | ანარიცხები დამქირავებლისაგან: | 010200 | 58,84 |
| | სოციალური უზრუნველყოფის ერთიან სახელმწიფო ფონდში | 010201 | 52,34 |
| | დასაქმების სახელმწიფო ფონდში | 010202 | 1,30 |
| | სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანიაში | 010203 | 5,20 |
| 3. | მივლინება | 010300 | – |
| 4. | სხვა საქონელი და მომსახურება | 010400 | 65311,16 |
| | ოფისის ხარჯები | 010401 | 2179,4 |
| | კომუნალური მომსახურება | 010402 | – |
| | ტრანსპორტისა და ტექნიკის საექსპლუატაციო ხარჯები | 010406 | 24528,42 |
| | სხვა მატერიალური დანახარჯები | 010408 | 38603,34 |
| 5. | ძირითადი კაპიტალის შეძენა | 040000 | – |
| | სულ ხარჯები | | 65 500 |
| | ნაშთი | | |

საარჩევნო კამპანიის ფონდის გამგე
საარჩევნო კამპანიის ფონდის ბუღალტერი

პოლიტიკური მოძრაობა "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს"
2002 წლის საფინანსო ანგარიში

| | | | |
|---|---|---|---|
| | შემოსავლები: | | |
| | შემოწირულობა | 41875 | ლარი |
| | 2002 წლის ნაშთი | 213-40 | ლარი |
| | სულ | 42088,4 | ლარი |
| | გაწეული ხარჯი: | | |
| 1. | ხელფასები | 1678-68 | ლარი |
| 2. | ბიუჯეტში შეტანილი გადასახადები | 1230-54 | ლარი |
| 3. | ბანკში შენატანი | 575-00 | ლარი |
| 4. | ჟურნალ-გაზეთების ღირებულება | 756-65 | ლარი |
| 5. | სააგიტაციო-საორგანიზაციო ხარჯები | 25944,95 | ლარი |
| 6. | დარბაზების საიჯარო გადასახადი | 3200 | ლარი |
| 7. | საოფისე ხარჯები | 8695,72 | ლარი |
| | სულ ხარჯები | 42080,54 | ლარი |
| | ფულადი სახსრების ნაშთი 2002 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 7-86 | ლარი |

ხელმძღვანელი:

თბილისი „24" იანვარი 2003 წ.

პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს"
2002 წლის საფინანსო ანგარიშზე

აუდიტორული დასკვნა

შპს. აუდიტორული ფირმა „ბაბუ"-ს დირექტორმა (ლიცენზია ზ №3/117, საქართველოს პარლამენტთან არსებული საქმიანობის საბჭოს 2002 წლის 17 დეკემბრის და კოლეგიის 1996 წლის 10 ოქტომბრის №1/4-513 დადგენილების საფუძველზე) კპურიძემ, წინამდებარე აუდიტი ჩაატარა მხარეთა პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" და შპს აუდიტორული ფირმა „ბაბუ"-ს შორის, გაფორმებული 2002 წლის 14 თებერვალს №117 გენერალური ხელშეკრულების თანახმად.

წარმოდგენილი საბუთებით დადგინდა:

2002 წლის 1/I-ის № ა/ა-ზე ნაშთი იყო 213 ლარი და 40 თეთრი. ბანკში შემოსულია 41875 ლარი. ბანკიდან გამოტანილია და გახარჯულია წარმოდგენილი ანგარიშებით 40850 ლარი, სხვადასხვა ფონდებში გადარიცხულია 1230 ლარი და 54 თეთრი, ნაშთი 2003 წლის 1/I-ის არის 7 ლარი და 86 თეთრი.

საარჩევნო კომპანიის ფონდში საარჩევნო სუბიექტების მიერ არჩევნებისათვის გამოყენებული სახსრების მათ მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით შემოსულია 65500 ლარი, რაც მთლიანად გახარჯულია.

ამრიგად პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილი 2002 წლის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშები სრულად ასახავს მისი ფულადი სახსრების მოძრაობის [illegible] 2003 წლის 1 იანვრისათვის.

[illegible] დასკვნა შედგენილია 2 ეგზემპლიარად, ერთი ეძლევა დამკვეთს, [illegible] რჩება [illegible]ულებელთან.

[illegible] ფირმა „[illegible]"-ს დირექტორი ქ. პურიძე

[illegible]ლიარი მივილე

კრწანისის რაიონის გამგეობის შენობა მე-4 სართული ოთახი 408 ტელ: ბინის 61-52-96

საქართველოს ჩემპიონატი 12

25 თებერვალი. რუსთავი

აზოტი 81:69 სსუ

მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, ზურაბ ანდრიაძე

კომისარი: როლანდ გელოვანი

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

# განდის ხსოვნისა

სამხრეთ აფრიკაში გასტუმრებული კრიკეტის მსოფლიო თასისას ინდოელთა ნაკრებს დრო გამოუნახავს და ქალაქ პიტერმარიცბურგს ჩასულა, სადაც იქაური მერი (ზანგი შუაში) დახვედრია. კაპიტან საურავ განგულის (მერის გვერდით) და იქ დამსწრეებს ზარ-ზეიმით გაუხსნიათ დიადი ინდუსის, მაჰათმა განდის ხსოვნის დაფა და ამ ამბავს განდის უფროსი ქალიშვილი ელაც დასწრებია. სწორედ პიტერმარიცბურგის სადგურში მომხდარა ის ამბავი, რომ ახალგაზრდა განდი თეთრების ვაგონში დამჯდარა სკამზე და იქიდან გამოუგდიათ, როგორც მეორეხარისხოვანი ადამიანი.



REUTERS პიტერმარიცბურგიდან



REUTERS ჰამბურგიდან

# დედოფლები ჰამბურგში

შვედეთის დედოფალი სილვია და შტეფი გრაფი ერთად მისულან ჰამბურგის განებივრებულ ბავშვთა ინსტიტუტში, ამავე ქალაქის უნივერსიტეტის საავადმყოფოსთან რომ არსებობს. საქველმოქმედო საქმიანობით ცნობილი ეს ქალები ჰამბურგში ტრადიციულ „მატიეს სადილსაც" ერთად დაესწრნენ.



# დაშორდნენ

ეს ფოტო სიდნეის ოლიმპიადაზეა გადაღებული: ავსტრალიელთა სიამაყე და 400 მეტრზე რბენის მომგები კეტი ფრიმენი თავის ქმარ ალექსანდრ ბოდეკერთან ერთად ზის. სწორედ გუშინ კი კეტიმ გამოაცხადა, ქმარს ვშორდებიო.



REUTERS ვაშინგტონიდან

# აღმოსავლეთ ოთახში

პრეზიდენტ ჯორჯ ვ. ბუშს თეთრი სახლის აღმოსავლეთ ოთახში მიუღია რავინდარა სპორტული დელეგაციები. იმათ შორის კი ამერიკის ფეხბურთელ ქალთა ნაკრები, რომლის კაპიტან ლორინ კილიანსაც კინოვარსკვლავობაც დამშვენდებოდა.

# ტონიას მარცხი

მოციგურავე ტონია ჰარდინგი (შავ სამოსში) რომ ახლა კრავს მიაწვა, ცნობილი ამბავია. მიაწვა და დაამარცხეს კიდეც. შაბათს მემფისის „პირამიდში" ტაისონ — ეტიენის ანდერქარდის ერთ-ერთი ბრძოლა ქალებისა იყო: ჰარდინგს ოთხრაუნდა ჯახში სამანტა ბრაუნინგმა აჯობა.



REUTERS მემფისიდან


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გიხალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი ღვალიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, დავით ქაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge